

**დისკრიმინაცია
და სიძულვილით
მოტივირებული დანაშაული
დებო პირთა მიმართ**

**DISCRIMINATION
AND HATE CRIME
AGAINST LGBT PERSONS**

კვლევის ანგარიში - „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“ – მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის – „ლგბტ ადამიანთა სამართლებრივი დაცვების“ – ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია NED (National Endowment for Democracy)

This study report - Discrimination and Hate Crime against LGBT Persons – was prepared by Women’s Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of the project „Providing Legal Support to LGBT Persons in Georgia“. This project is financially supported by NED (National Endowment for Democracy).

ავტორები / Authors:

ციალა რატიანი / Tsiala Ratiani

ეკატერინე ალდგომელაშვილი / Ekaterine Aghdgomelashvili

გიორგი გიცირიძე / Giorgi Gotsiridze

რედაქტორი / Editor: ნაზი ჯანეზაშვილი / Nazi Janezashvili

დიზაინი / Design: ე. წერეთელი / E. Tsereteli

დაკაბადონება / Layout: თ.ლორთქიფანიძე / T. Lortkipanidze

კორექტორი / Correction: მ. კალანდაძე / M. Kalandadze

მთარგმნელი / Translator: ე. გლურჯიძე / E. Glurjadze

დაბეჭდილია / Printed: შპს „სეზანი“ / Cezanne Ltd

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2015

Women’s Initiatives Supporting Group, 2015

www.women.ge

ISBN 978-9941-0-8087-6

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით

No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG)
თბილისი, 2015

შინაარსი

I. შესავალი	5
II. დისკრიმინაციის აკრძალვა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	
ლგბტ საკითხებთან მიმართებაში	7
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	7
ქვეყანაში არსებული სამართლებრივი გარემოს ზოგადი მიმოხილვა	11
III. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	14
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	14
ადგილობრივი სამართლებრივი გარემო	15
არსებული პრაქტიკა	16
ოფიციალური სტატისტიკა	16
არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები	17
სამართალდამცავთა ეთიკის კოდექსი	18
სასწავლო პროგრამები სამართალდამცავთათვის	19
სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალური განყოფილებები	21
ცნობიერების ამაღლების კამპანიები	22
IV. შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლება	28
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	28
ადგილობრივი სამართლებრივი გარემო	29
არსებული პრაქტიკა	30
V. დასაქმება	37
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	37
ადგილობრივი სამართლებრივი გარემო	38
არსებული პრაქტიკა	38
VI. დისკრიმინაცია განათლების სფეროში	41
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	41
ადგილობრივი სამართლებრივი გარემო	42
არსებული პრაქტიკა	42
VII. ჯანდაცვა	46
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	46
ადგილობრივი საკანონმდებლო გარემო	46
არსებული პრაქტიკა	47
VIII. გენდერის სამართლებრივი აღიარება	51
საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები	51
ადგილობრივი სამართლებრივი გარემო	52
IX. დასკვნა	55
დანართები	58
წერილები	58
საპასუხო წერილები	66
ტერმინოლოგია	102

I. შესავალი

პრობლემის აქტუალობა

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, როგორც არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და დოკუმენტირებული ქეისები, ისე საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ მომზადებული ანგარიშები, ადასტურებს, რომ ჰომოფობიური/ტრანსფობიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში.

ამასთან, ამგვარი ფაქტების უმეტესობა ალურიცხავი და, შესაბამისად, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება. არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სახელმწიფო დონეზე, რომელიც აღრიცხავდა და შეისწავლიდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე, ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთა ხასიათსა და გავრცელებულობას ქვეყანაში და შემუშავებდა და დაგეგმავდა სოგ-ის საფუძველზე დისკრიმინაციის დაძლევისაკენ მიმართულ კონკრეტულ და ეფექტიან მიდგომებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე დისკრიმინაციისა და ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემო, მათი განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების ეფექტიანობის ანალიზი, შეფასება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება საკანონმდებლო გარემოსა და დე-ფაქტო მდგომარეობას შორის არსებული განსხვავების შემცირების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო გარემო, მათი განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები. ანალიზი ასევე ეყრდნობა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ მოპოვებულ და დოკუმენტირებულ მასალებს (დოკუმენტირებული ქეისები უფლებათა დარღვევის შესახებ, ლგბტ ჯგუფის წევრებთან ჩაწერილი ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფებისა და სამართლებრივ საკითხებზე ლგბტ ჯგუფის წევრებთან პროექტის ფარგლებში ჩატარებული ვორკშოფების დროს მოგროვებული მასალები, 2012-14 წლებში ორგანიზაციის მიერ მომზადებული ჩრდილოვანი ანგარიშები და რაოდენობრივი კვლევები), სხვა უფლებდაცვითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები (EMC, „იდენტობა“, GYL), სახალხო დამცველის 2013 და 2014 წლის წლიური ანგარიშები, რელევანტური სახელმწიფო ინსტიტუციებიდან მიღებული პასუხები ორგანიზაციის კითხვებზე.

პუბლიკაციის სტრუქტურა

წინამდებარე კვლევის შედეგები დაყოფილია სფეროების მიხედვით. თითოეული სექცია შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან:

- ა) საერთაშორისო სტანდარტებისა და მექანიზმების მოკლე მიმოხილვა, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობას;
- ბ) ქვეყანაში არსებული სამართლებრივი გარემო;
- გ) ქვეყანაში არსებული პრაქტიკა;
- დ) რეკომენდაციები.

არსებული მდგომარეობის საილუსტრაციოდ, ყოველ თავს (გენდერის სამართლებრივი აღიარების თავის გამოკლებით) თან ერთვის კონკრეტული ქეისები ნიმუშის სახით.

II. დისკრიმინაციის აკრძალვა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ საკითხებთან მიმართებაში

საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საზოგადოებაში მთავარი ფასეულობაა, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი პრინციპი ადამიანების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, არ შეიძლება, ადამიანთა განსხვავება რასის, ეთნიკური წარმოშობის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე.

დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარი უფლებები და თავისუფლებები, სწორედ ამიტომ, დაუშვებელია ადამიანების დისკრიმინაცია, ანუ მათი განსხვავება რამე ნიშნით. თანასწორუფლებიანობის ცნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. სწორედ ამიტომაცაა, რომ თანასწორუფლებიანობის დარღვევა, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე, არის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევა, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტზე და შემდგომში ხდება ადამიანების მარგინალიზაციის მიზეზი.

არადისკრიმინაციულობა და თანასწორობის პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ელემენტებია. ეს პრინციპები ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და საერთაშორისო პაქტებში. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი და „ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნების და სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი და სხვა ნიშნების მიუხედავად. კანონის წინაშე თანასწორობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპი გამყარებულია „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ 26-ე მუხლით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას პაქტის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე. პაქტი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, დისკრიმინაციის გარეშე გამოიძიონ და შესაბამისად, უპასუხონ ძალადობის ფაქტებს ინდივიდის მიმართ¹.

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა პირდაპირ არაა ნახსენები დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლების ჩამონათვალში, შესაბამისი ორგანოები, ზოგად კომენტარებსა და ცალკეულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში² ცხადად მიუთითებენ, რომ დისკრიმინაციის

¹ The United Nation Human Rights Council (UNHRC), General Comment 31: The Nature of the General Legal Obligations imposed by the Covenant, adopted on 29 March 2004, UN Doc CCPR/C/21/Rev.1/Add.13, paras.s 6-8

² გაეროს კომიტეტი ადამიანის უფლებებზე, ტუნენი ავსტრალიის წინააღმდეგ (Toonen v. Australia), შეტყობინება N488/1992, 30.03.1994. CCPR/50/D/488/192, პარაგრაფი 8.7; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, იანგი ავსტრალიის წინააღმდეგ, შეტყობინება N941/2000, 6.08.2003., CCPR/C/78/D/941/2000; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ხ. კოლუმბიის წინააღმდეგ, შეტყობინება N1361/2005, 14.05.2007., CCPR/C/89/D/1361/2005.

საფუძველთა ღია ჩამონათვალი ასევე ფარავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი განმარტავს, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია არ იყოს დაბრკოლება პაქტში განმტკიცებული უფლებების რეალიზაციისათვის. გარდა ამისა, გენდერული იდენტობა აღიარებულია დისკრიმინაციის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძველად. მაგალითად, ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, და ინტერსექსი პირები ხშირად ეჯახებიან ადამიანის უფლებათა ისეთ უხემ დარღვევებს, როგორებიცაა შევიწროება სკოლასა და სამუშაო ადგილზე.“³

არადისკრიმინაციულობის პრინციპი ასევე ასახულია გაეროს ადამიანის უფლებათა სხვა კონვენციებშიც. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მოიცავს არადისკრიმინაციის დებულებებს.⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციასთან ბრძოლის კომიტეტი საერთო რეკომენდაციაში აზუსტებს, რომ „ქალთა დისკრიმინაცია სქესის ნიშნით განუყოფლად დაკავშირებულია სხვა ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალზე: რასობრივი, ეთნიკური კუთვნილება, რელიგია და რწმენა, ჯანმრთელობა, სტატუსი, ასაკი, კლასი, კასტა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. მონაწილე სახელმწიფოებმა იურიდიულად უნდა აღიარონ და აკრძალონ მსგავსი შერეული ფორმის დისკრიმინაცია და აღმოფხვრან მათი ერთობლივი ნეგატიური შედეგი ქალებისათვის.“⁵ ანალოგიური სახით, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-2 მუხლი, მოიცავს ზოგად დებულებებს კონვენციაში განმტკიცებულ უფლებათა დაკავშირების არადისკრიმინაციულობაზე. ბავშვთა უფლებების კომიტეტი ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან საფუძველს შორის ექსპლიციტურადაა მოხსენიებული სექსუალურ ორიენტაცია (გენდერული იდენტობა არაა ჩამონათვალში).⁶ გაეროს სპეციალურ მომხსენებელთა ნაწილი იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს ლგბტ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის განხილვისას.⁷

ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო არის ადამიანის უფლებათა კონვენციის მონაწილე. კონვენცია ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვის ღია ჩამონათვალს მე-14 მუხლში, რომელიც მეორდება კონვენციის N12 ოქმში „დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა.“ ოქმს აქვს გამოყენების უფრო ფართო სფერო, ვიდრე მე-14 მუხლს, ვინაიდან არ შემოიფარგლება თავად კონვენციაში მითითებული უფლებებით და თავისუფლებებით. არც მე-14 მუხლი და არც ოქმი, პირდაპირ არ მიუთითებენ არც სექსუალურ ორიენტაციასა და არც გენდერულ იდენტობას დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველის სახით, მაგრამ ოქმის დებულებების კომენტარები მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის საფუძველის ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.⁸

3 გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია N20 დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებაში, 2009 წ. 32-ე პუნქტი.

4 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979 წ., მე-2 მუხლი.

5 ზოგადი რეკომენდაცია N28, რომელიც ეხება მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად CEDAW/C/2010/47/GC.2, პ.18.

6 გაეროს ბავშვის უფლების კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია N4, 2003 წ., პ.6.

7 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „სპეციალური მომხსენებლის ამბეი ლოგაბოს მოხსენება აზრისა და გამოხატვის საკითხზე. E/CN.4/2005/64/Add. 3 26.11.2004, პ.74.; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „თითოეულის უფლება უმაღლესი მიღწევადი დონის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე - სპეციალური მომხსენებლის პოლ ხანტის მოხსენება“, E/CN.4/2004/49, პ.24, ადამიანის უფლებათა საბჭო სპეციალური მომხსენებლის ანანდ გრობერის მოხსენება თითოეული ადამიანის უფლებაზე უმაღლესი მიღწევადი დონის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე“, A/HRC/14/20, პ.9, 27.04.2010 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა კომისია, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება, გოგონების უფლება განათლებაზე, მოხსენება, წარმოდგენილი სპეციალური მომხსენებლის ბატონ მუნსოი ვილიალობოსის მიერ განათლების უფლების საკითხზე“, 8.02.2006., პ.113; გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოხსენება განათლების უფლებაზე“, A/65/162, 23.07.2010 წ., პ.23. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, „სპეციალური მომხსენებლის მილუნა კოტარის მოხსენება ადექვატური საცხოვრებლის, როგორც ცხოვრების საკმარისი დონის უფლების კომპონენტის საკითხზე“, E/EC.4/2004/48, 8.03.2004 წ., პ.49. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ნამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის სახეების საკითხზე“, UN Doc.A/56/156, 3.07.2001 წ. პ.22; გაეროს გენერალური ასამბლეა, UN Doc.A/59/324, 1.09.2004 წ. პ.39.

8 განმარტებითი ბარათი 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის N12 ოქმის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1.04.2005 წ., ETS N177.

2001 წელს საქართველოს პარლამენტმა #839-II დადგენილებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა. დამატებითი ოქმის რატიფიცირების შედეგად ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა გადანყვიტეს, გადადგან შემდგომი ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყონ ყველა პირის თანასწორობას დისკრიმინაციის საერთო აკრძალვის კოლექტიური განხორციელების მეშვეობით. მათ ხელახლა დაადასტურეს, რომ არადისკრიმინაციის პრინციპი არ ზღუდავს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ საჭირო ზომები, რათა ხელი შეუწყონ სრული და ეფექტური თანასწორობის განმტკიცებას. მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად: „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერ ისეთ საფუძველზე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი“.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენცია და მისი მე-12 დამატებითი ოქმი აღიარებს და იცავს კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობას დისკრიმინაციის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს 1999 წელს დაადასტურა, რომ კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად, სექსუალური ორიენტაცია არის დისკრიმინაციის საფუძველი.⁹ გარდა ამისა 2010 წელს სასამართლომ პირდაპირ მოიხსენია ტრანსსექსუალობა, თუმცა არა გენდერული იდენტობა¹⁰ - დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველების რიცხვში კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად, თუმცა ამ დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იყო ადრე გამოტანილი გადანყვეტილებების საფუძველზეც.¹¹ სასამართლომ გამოიტანა რამდენიმე პრეცედენტული გადანყვეტილება სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, რომელშიც მე-14 მუხლი გამოყენებული იქნა კონვენციის მატერიალურ მუხლებთან ერთობლიობაში, კერძოდ, მე-8 მუხლთან პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ამ გადანყვეტილებებში სასამართლომ სერიოზულად შეზღუდა სახელმწიფოთა შეხედულების საზღვრები, ხაზი გაუსვა რა, რომ განსხვავება ადამიათა მოპყრობას შორის, დაკავშირებული ზემოაღნიშნულ საფუძველებთან, მოითხოვს განსაკუთრებულ წონად მიზეზებს, რომ იყოს კანონიერი კონვენციის შესაბამისად.¹²

არადისკრიმინაციულობის პრინციპი ასევე ნახსენებია ევროპის საბჭოს სპეციალურ კონვენციებში. 2011 წლის 7 აპრილს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის კონვენცია.¹³ ეს კონვენცია არის მსოფლიოში პირველი იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტი, რომელიც ადგენს ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოებს ძალადობის აღსაკვეთად და ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. კონვენციის ანტიდისკრიმინაციული მუხლები სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას განიხილავენ, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველს, ამიტომ კონვენცია არის პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც პირდაპირ ადგენს სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველის სახედ.

9 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სალგერო და სილვა (Salguero Da Silva Mouta) პორტუგალიის წინააღმდეგ, საჩივარი N33290/96, დადგენილება 21.12.1999 წ. თუმცა ჯერ კიდევ 1981 წელს სასამართლომ საქმეში დელე დაფჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, საჩივარი N7525/76, აღიარა, რომ დისკრიმინაცია სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც ეხება ერთი სქესის სრულწლოვან პირთა ურთიერთობის კანონიერებას, ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს პირადი ცხოვრების პატივისცემას.

10 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პ.ე. ესპანეთის წინააღმდეგ, საჩივარი 35159/09, დადგენილება 30.11.2010, პ.30. კონკრეტულ საქმეში ამ დებულების დარღვევა დადგენილი არ იყო, დადგენილება არ არის საბოლოო.

11 იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კრისტინა გუდინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, საჩივარი N28957/95, დადგენილება 11.07.2002 წ.

12 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კარნერი ავსტრალიის წინააღმდეგ, საჩივარი N40016/98, დადგენილება 24.07.2003 წ. პ.37, ე.ე. საფრანგეთის წინააღმდეგ, საჩივარი N43546/02, დადგენილება 22.01.2008 წ., პ.91, შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ, საჩივარი N30141/04, დადგენილება 24.06.2010 წ. პ.97.

13 კონვენცია გახდა ლიად ხელმოსაწერად სტამბულში 2011 წლის 11 მაისს N210. საქართველომ მისი რატიფიცირება მოახდინა 2014 წლის 19 ივნისს. მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო შეხვედრების სესია არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

გენდერული იდენტობა პირდაპირ არ არის აღიარებული დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლის სახით ევროკავშირის დირექტივებში. თუმცა ევროკავშირი იღებს „სქესის“ საფუძველს თანასწორობის გარანტიების გასაფართოებლად სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომიდან, ყოველ შემთხვევაში, დისკრიმინაციას, რომელსაც ექვემდებარებიან ტრანსგენდერი ადამიანები. საქმეში პ. ს-ს წინააღმდეგ, კორნოლის საგრაფო, 1996 წელს სასამართლომ განაცხადა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი „უნდა გავრცელდეს დისკრიმინაციაზე, რომელიც დაკავშირებულია სქესის შეცვლასთან, რადგან იგი უპირატესად და მთლიანად ეფუძნება ადამიანის კუთვნილებას განსაზღვრული სქესისადმი, ვინაიდან ადამიანის გათავისუფლება იმის საფუძველზე, რომ იგი გეგმავს ან უკვე განახორციელა სქესის შეცვლა, ნიშნავს, მოუპყრო მას ნაკლებ სასიამოვნოდ იმ სქესის პირებთან შედარებით, რომელსაც იგი ეკუთვნოდა ოპერაციამდე.¹⁴ ამგვარი მიდგომა იქნა განმტკიცებული სასამართლოს კიდევ ორ გადაწყვეტილებაში.¹⁵ ამ სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად ევროკავშირის საბჭომ განაცხადა, რომ დისკრიმინაცია, დაკავშირებული სქესის შეცვლის ფაქტთან, ასევე არის აკრძალული დირექტივის საფუძველზე მამკაცთან და ქალთან მიმართებით თანაბარი მოპყრობის პრინციპის რეალიზაციისას.

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაძლევის შესახებ (ICERD) სახელმწიფოს ავალდებულებს, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს „პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლება ძალადობისა და სხეულის დაზიანებებისაგან, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დანესებულებები“¹⁶. 2008 წელს, საბჭომ მიიღო ჩარჩო გადაწყვეტილება *2008/913/JHA*, რომლის მიზანი იყო რასიზმისა და ქსენოფობიის ზოგიერთ ფორმებთან ბრძოლისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება. ჩარჩო გადაწყვეტილების მე-4 მუხლი წევრ სახელმწიფოებს სთხოვს, რომ დანაშაულის რასისტული და ქსენოფობიური მოტივი მიჩნეული იქნას დამამძიმებელ გარემოებად ან ალტერნატივის სახით, ასეთი მოტივაცია მხედველობაში იქნას მიღებული სასამართლოს მიერ სასჯელის განსაზღვრისას.¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, ასეთი შემთხვევების გამოძიებისას დანაშაულის მოტივის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება, გამოიწვიოს არაპირდაპირი დისკრიმინაცია.¹⁸

2010 წელს ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.¹⁹ რეკომენდაცია სთავაზობს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ გათვალისწინებული პრინციპებისა და ზომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას ლგბტ მიმართებაში, ეროვნულ კანონმდებლობაში, პოლიტიკაში და პრაქტიკაში. რეკომენდაცია მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს, ასევე დისკრიმინაცია რამდენიმე ნიშნით: გაერთიანებების

¹⁴ ევროკავშირის სასამართლო, C-13/94, პ. ს-ს წინააღმდეგ, კორნოლის საგრაფო, გადაწყვეტილება 30.04.1996 წ., პ.21-22.

¹⁵ ევროკავშირის სასამართლო, C-117/01, კბ ვ. ჯანდაცვის ეროვნული სამსახური, სპენსიო სააგენტო, სახელმწიფო მდივანი ჯანდაცვის საკითხებში, გადაწყვეტილება 7.01.2004., C-423/04, სარა მარგარეტ რიჩარდსი შრომის და პენსიის საკითხში სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება 27.04.2006 წ.

¹⁶ ICERD. მუხლი 5(ბ)

¹⁷ COUNCIL FRAMEWORK DECISION 2008/913/JHA of 28 November 2008 on combating certain forms and expressions of racism and xenophobia by means of criminal law <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32008F0913&from=EN>

¹⁸ Angelova and Iliev v. Bulgaria, No. 55523/00. 2007 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, პ.115: „[ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისას, სახელმწიფო ხელისუფლებებს აქვთ დამატებითი ვალდებულება, გაიღონ ყოველგვარი ძალისხმევა დანაშაულის რასისტული მოტივის აღმოსაჩენად და დაადგინონ, ამ შემთხვევაში თამაშობდა თუ არა რამე როლს ეთნიკური სიძულვილი ან სტერეოტიპი. თუ ამას არ გააკეთებენ და რასიზმით შთაგონებულ ძალადობასა და სისასტიკეს ისევე განიხილავენ, როგორც ამგვარი მოტივის გარეშე ჩადენილ დანაშაულს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ თვალის დაუხუჭეს დანაშაულის სპეციფიკურ ბუნებას, რომელიც განსაკუთრებულად არღვევს ფუნდამენტურ უფლებებს. თუ განსხვავებულად არ მიუდგებიან არსებითად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტუაციებს, ეს მიგვიყვანს არასამართლიან განხილვამდე, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე-14 მუხლს.

¹⁹ იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.

თავისუფლების შეზღუდვა, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი, სპორტი, პოლიტიკური შეხედულება, ადამიანის უფლებათა ეროვნული მექანიზმები და დისკრიმინაცია მრავალი ნიშნით. დოკუმენტი არ არის იურიდიულად სავალდებულო, ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, ევალბა ამ რეკომენდაციის რეალიზაციის უზრუნველყოფა.²⁰

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე პრეცედენტი პროგრესია ამ მიმართულებით. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება იღწვის იმისათვის, რომ გაიზარდოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ადამიანების თანასწორობა უზრუნველყოფილი იქნას მაღალ დონეზე.

ქვეყანაში არსებული სამართლებრივი გარემოს ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი აღიარებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას, რომლის თანახმადაც „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ამ საფუძველთა ჩამონათვალში ნახსენები არაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციაში მითითებული საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ისეთ საფუძვლებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მასში ნახსენები.²¹

მეორე შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პროგრესულად განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლი და მასში ამოიკითხა დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური ქცევის საფუძველზე. ამგვარი მიდგომა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილებაში საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.²²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ასევე განიხილავს დისკრიმინაციას, როგორც ნეგატიურ მოვლენას და ახდენს მის კრიმინალიზაციას, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი კრძალავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას და დისკრიმინაციას ასე განმარტავს: „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე ნოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება“.

20 2012 წელს, WISG-მა მოამზადა CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში საქართველოში. გაფართოებული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ http://women.ge/wp-content/uploads/2013/01/CM_REC20105GEORGIA_ENG_extended-version.pdf

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. 31.03.2008

22 აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი პროგრესული მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრად უფრო ადრე შეაიმუშავა. 2008 წლის 31 მარტს საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში განსხვავებული მოპყრობა ხდებოდა სამუშაო ადგილის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილი პირდაპირ არ იყო მოხსენიებული კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ეს ნიშანი გამომდინარეობდა აღნიშნული კონსტიტუციური დებულებიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეზე მიღებული 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილების მეორე თავის მეორე პარაგრაფი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის²³ მიხედვით, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური ან ენობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულად ითვლებოდა. 2012 წლის 27 მარტს საფუძველთა ჩამონათვალს დაემატა პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ მუხლით არც ერთი საქმე არაა კვალიფიცირებული. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, რომლებიც ჩადენილია სექსუალური და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღემდე არ ხდება ლგბტ პირთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ბუნებისა და პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება²⁴.

შრომის კანონთა კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე²⁵ (აკრძალვის საფუძველში გენდერული იდენტობა მითითებული არაა). მიუხედავად ზოგადი აკრძალვისა, კანონი სერიოზულ ხარვეზებს შეიცავდა, რაც დისკრიმინაციის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა პირის სამსახურში აყვანისა და დათხოვნის ეტაპებზე. 2013 წელს შესაბამისი ცვლილების საფუძველზე ეს ხარვეზი აღმოიფხვრა²⁶.

სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, ფიგურირებს საქართველოს კანონშიც ჯანმრთელობის დაცვის შესახებ²⁷. საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ, ასევე კრძალავს პაციენტთა დისკრიმინაციას რამე ნიშნით: „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია“.²⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს და მისმა დარღვევამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა²⁹.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ზოგადად წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ვინაიდან მასში გაწერილი არა არის კანონის აღსრულების მექანიზმი, იგი მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა. გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებს ლგბტ ჯგუფის საჭიროებებს და შესაბამისად, ნაკლებად შესაძლებელია ამ ეტაპზე მისი გამოყენება ლგბტ პირთა უფლებების დასაცავად. კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ პარტნიორთა ძალადობისაგან არ იცავს ლგბტ პირებს, ვინაიდან იგი ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზე. საქართველოში კი ჰომოსექსუალური ქორწინება კანონით დაშვებული არაა³⁰.

23 სსკ 53-ე მუხლის 3' ნაწილი.

24 დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შს მინისტრმა 2014 წლის 26 დეკემბერს ახალი მითითებები გამოსცა, რომლის მიხედვითაც, შსს-ს საგამოძიებო დანაყოფებს დაევალიდა: შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ (სსკ 53-ე მუხლის 3' ნაწილი) მიუთითონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულაში“. სამინისტროს ინფორმაციით, მითითება სიძულვილის ნიადაგზე და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების შესაბამისი მუხლით (საქართველოს სსკ-ის 142-ე, 142 პრიმა, 142 პრიმა 2, 155-ე და 156-ე მუხლები) გამოძიების დაწყების ვალდებულებას წარმოშობს, თუ სახეზეა ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministrma-diskriminatsiis-preventsia-da-am-nishnit-chadenil-samartaldarghvevebze-efektiani-reagirebis-miznit-shss-s-danakofebistvis-akhali-direktivebi-gamosta/7565>

25 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 2(3).

26 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებები შრომის კოდექსში (729-III).

27 იხ. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

28 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“. მუხლი 6.

29 კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ. 142-ე მუხლი)

30 საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. WISG. თბილისი. 2012. http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

2014 წლის 7 მაისს ძალაში შევიდა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველთა შორის ექსპლიციტურადაა მითითებული „სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა“.³¹ კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი³². როგორც თავად სახალხო დამცველის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, კანონმდებლობას ახასიათებს სერიოზული ხარვეზები. სახალხო დამცველმა უკვე მიმართა პარლამენტს შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე.

ამგვარად, საკანონმდებლო დონეზე კვლავაც რჩება ხარვეზები, რაც ლგბტ ადამიანებს არათანასწორ პირობებში აყენებს. უმრავლეს შემთხვევებში კანონი არ არის აშკარად დისკრიმინაციული, მაგრამ მათი გამოყენება იწვევს დისკრიმინაციულ შედეგებს პრაქტიკაში და მნიშვნელოვნად ზღუდავს ლგბტ ადამიანების თავისუფლებებსა და უფლებებს.³³

31 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

32 სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას; ამზადებს და შესაბამის დანებსებულებას ან პირს უგზავნის ზოგად ნინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; და სხვა.

33 CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG. თბილისი. 2012. http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/CM_REC-20105GEORGIA_GEO_www.pdf

III. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

საერთაშორისო სტანდარტები და მემკვიდრეობები

OSCE-ს სახელმძღვანელო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ამგვარად განმარტავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს: „სიძულვილით ჩადენილი დანაშაული არის დანაშაული, რომელიც ჩადენილია იმის გამო, რომ მსხვერპლი, სინამდვილეში ან სავარაუდოდ, მიეკუთვნება რამე ჯგუფს, უმეტესად, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის, მოქალაქეობის, წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა ნიშნით“. „სიძულვილით ჩადენილი დანაშაული“ და სხვა „სიძულვილით მოტივირებული გადაცდომები“ ძალიან დიდ ტვივილს აყენებს მსხვერპლსა და იმ თემს, რომელსაც მიეკუთვნება. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლთა თვალთახედვით, ამგვარი დანაშაულისაგან ყველაზე მეტად ზარალდება მათი იდენტობის მყარი, ფუნდამენტური ასპექტი.³⁴ გარდა ამისა, ამგვარი ქმედებები ემუქრება დემოკრატიული საზოგადოებებისა და კანონის უზენაესობის ძირითად საფუძველს, რამდენადაც „თავს ესხმის“ ყველა ადამიანის ღირსებისა და უფლებების თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ჩანერილია გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პირველ მუხლში.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათანადო საკანონმდებლო გარემოს: გარდა პრევენციული მნიშვნელობისა, როცა კანონმდებლობის გამკაცრება ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებაში წარმოადგენს სერიოზულ გზავნილს მოძალადეებისათვის, შესაბამისი მუხლების არსებობა კანონში ხილულს ხდის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, ამარტივებს მის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას ამგვარი დანაშაულების ბუნებასა და პრევალირებაზე, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, ეფექტიანი ზომები გატარდეს მის აღმოსაფხვრელად.

საკანონმდებლო ზომების მიღების გარდა, 2009 წელს გამართულ ევროპის საბჭოს მინისტრიალზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრის შესახებ³⁵, მკაფიოდ განისაზღვრა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ამ მიმართულებით:

- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მონაცემების შეკრება და გასაჯაროება;
- შესაბამისი ზომების მიღება, რათა წაახალისონ მსხვერპლი ან ასეთი დანაშაულის მოწმე, განაცხადონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ;
- პროფესიული ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება პოლიციის ოფიცრებისთვის, პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ წაახალისოს სოგ-ის საფუძველზე სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის ან სიძულვილით მოტივირებული სხვა გადაცდენების მსხვერპლი და მოწმეები, ითვალისწინებს რა სოგ-ის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკას, ლგბტი ჯგუფის წარმომადგენელთა მხრიდან

34 იხ.: OSCE-ს ანგარიში: კანონმდებლობა სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პრაქტიკული სახელმძღვანელო, გვ. 42 http://www.osce.org/publications/odihr/2009/03/36671_1263_en.pdf

35 OSCE Ministerial Council Decision No. 4/03, op. cit., note 2.

სამართალდამცავთა მიმართ უნდობლობას, რეპორტირებისას ქამინგ აუთის შიშსა და სხვა სპეციფიკას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაცია CM/REC2010(5) წევრ სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებს:

- შექმნან სპეციალური განყოფილებები, „რომლებსაც, სხვა მოვალეობებთან ერთად, დაევალებათ სექსუალურ ორიენტაციისა ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და გადაცდომების გამოძიება. ასევე სპეციალური თანამშრომლების გამოყოფა, რომლებიც კონტაქტს დაამყარებენ ადგილობრივ თემებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.
- განსაკუთრებული ძალისხმევის გაღებას დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად სპეციალურად იმისათვის, რომ მიიღონ და გამოიძიონ ინფორმაცია სამართალდამცავი პირების მხრიდან სიძულვილით ჩადენილი დანაშაულებისა ან სიძულვილით მოტივირებული სხვა გადაცდომების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისას, სადაც ერთ-ერთი მოტივი ხდება სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა.
- ანონიმური ან ონლაინ საჩივრების წარმოდგენის, ან ადვილად მიწვდომის სხვა საშუალებათა სისტემის შემოღებას, რაც საშუალებას მისცემს მესამე მხარეს, მიაწოდოს ინფორმაცია. ამით მოგროვდება ინფორმაცია გადაცდომებისა და მათი განსაკუთრებული ხასიათის შესახებ.

დამატებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ლესბოსელებს, გეებს, ბისექსუალებსა და ტრანსგენდერებს სამართალდამცავ და სხვა სტრუქტურებში ეპყრობოდნენ დისკრიმინაციის გარეშე, რაც სტიმულს მისცემს სიძულვილით ჩადენილი დანაშაულისა ან გადაცდომის მსხვერპლთ, განაცხადონ ამგვარი ფაქტების შესახებ. ეს მიიღწევა კარგი ქცევის კოდექსისა და ტრენინგების შემოღებით. მათ ასევე უნდა გადადგან ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჰომოფობიური და ტრანსფობიური ქმედებები, მათ შორის, წამების, არაადამიანური მოპყრობისა ან ღირსების შემლახავი მოპყრობის (სექსუალური ძალადობა, სხეულის ზედმეტად მოურიდებელი ჩხრეკა და შეურაცხყოფელი ლაპარაკი) ფაქტები აღმოიფხვრას ამ სტრუქტურებში და, სადაც შესაძლებელია, გამოიყენონ დისკრიმინარული ან სისხლის სამართლის სანქციების მექანიზმები³⁶.

ადგილობრივი სამართლებრივი გარემო

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას. შედეგად არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ზოგადად სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ან ამავე საფუძველზე ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.³⁷ 2012 წლამდე, სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული არ ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად (ეთნიკური კუთვნილების ან რელიგიური მოსაზრებების გამო სიძულვილისაგან განსხვავებით). 2012 წლის 27 მარტს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სოგი დაემატა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალს, რომელიც სანქციების განსაზღვრისას

³⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. 2010.

³⁷ CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG. თბილისი. 2012. გვ.44

ითვლება დამამძიმებელ გარემოებად: „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, შეზღუდული შესაძლებლობების, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური, ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.³⁸“ როგორც WISG-ის მიერ 2012-14 წლებში მომზადებულ ანგარიშებშია მითითებული³⁹, ქვეყანაში დღემდე არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სსკ-ს 53 მუხლის გამოყენების შესახებ. ორგანიზაციის მიერ დოკუმენტირებულ ქეისებში მითითებული დანაშაულები, რომელთა სავარაუდო მოტივი სწორედ სოგ-ის საფუძველზე გამოვლენილი შეუწყნარებლობაა, იდენტიფიცირდება, როგორც სსკ-თი განსაზღვრული სხვა ტიპის დანაშაული, როგორიცაა ხულიგანიზმი, სხეულის განზრახ დაზიანება და ა.შ.⁴⁰

2014 წლის 2 მაისის ცვლილების მიხედვით, სოგი ასევე დაემატა სსკ-ს 142-ე მუხლსაც, რომელიც თანასწორუფლებიანობის დარღვევას ეხება: „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება. აღნიშნული მუხლის დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია იგივე ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.“

არსებული პრაქტიკა

ოფიციალური სტატისტიკა

ოფიციალური სტატისტიკის მოსაპოვებლად, 2012-14 წლებში შსს-ს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილისა და 142-ე მუხლის გამოყენების შესახებ სტატისტიკის გამოთხოვის მიზნით, WISG-მა შესაბამისი წერილით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილიდან⁴¹ ირკვევა, რომ ზემოხსენებულ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ასევე მიუთითა, რომ ინფორმაციას არ ფლობდა სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების თაობაზე.

WISG-მა წერილით მიმართა მთავარ პროკურატურასაც სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით წინასწარი გამოძიების/სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით. მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილში მითითებულია, რომ⁴² მითითებული პერიოდის განმავლობაში (2012-14 წლები) სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით წინასწარი გამოძიების/

38 სსკ 53-ე მუხლი (3¹)

39 ა. ნაცვლიშვილი, ე.ადღომელაშვილი. ლბტ ქალთა მდგომარეობა საქართველოში. ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. WISG. 2012; ა. ნაცვლიშვილი, ე.ადღომელაშვილი. CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG. თბილისი. 2012; ე. ადღომელაშვილი. ლბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. ჩრდილოვანი ანგარიში UPR-სათვის. WISG. თბილისი. 2014; Another examples of homo/transphobic incidents 2009-2014 you can find in several studies and reports such as ILGA-Europe's submission for OSCE-ODIHR 2012 Hate Crimes Report; ILGA-Europe's annual reports in 2011, 2013, 2014, annual report of the Public Defender of Georgia 2013, 2014 etc.

40 Please see the state report in implementation of CM/Rec(2010)5: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Others_issues/LGBT/Questionnaire/LGBT_Georgia.pdf

41 შსს ანალიტიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილი. 2014 წლის 13 ნოემბერი. #2293989

42 მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი. 2014 წლის 24 სექტემბერი. #13/59480

სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების არც ერთი შემთხვევა არ იქნა დაფიქსირებული. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებას, პროკურატურამ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე პროკურატურა სტატისტიკურ ინფორმაციას არ აწარმოებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით პირისათვის ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მიზნით WISG-მა წერილობით მიმართა ყველა ინსტანციის სასამართლოს. მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში, არც სსკ 53-ე მუხლის 3¹ და არც სსკ 142-ე მუხლი არ ფიგურირებს არც ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში⁴³.

ოფიციალური სტატისტიკის არარსებობა, განსაკუთრებით, უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული ქეისებისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლენილი სურათის ფონზე, აჩვენებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში არ მუშაობს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები

ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ ძალადობა ლგბტ პირთა მიმართ (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ბულინგი და ნაწილობრივ ოჯახში ძალადობა) საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში.

2012 წლის WISG-ის მიერ ჩატარებულმა დისკრიმინაციის კვლევამ ლგბტ ჯგუფში აჩვენა, რომ გამოკითხულთა 32%-ს ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, 89.93%-ს კი ფსიქოლოგიური ძალადობა. საშუალოდ 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა განუცდია, 73.13%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 13.43%-ს ორჯერ, ხოლო 13.43%-ს - ერთხელ.

ფიზიკური ძალადობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია ცემა (73%), სექსუალური ზეწოლა (14,6%) და სექსუალური ძალადობა (12,5%). ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებიდან რესპონდენტებმა გამოყვეს: სიტყვიერი შეურაცხყოფა (63%), დაცინვა, დამამცირებელი კომენტარები მათი მისამართით (84%), სიძულვილის ენის შემცველი წერილი მიუღია 20%-ს. კვლევაში მონაწილე 6-ვე რესპონდენტმა, რომელიც 16-18 წლამდე ასაკის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად გამხდარა ბულინგის მსხვერპლი.⁴⁴ იმ 48 რესპონდენტთაგან, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა, 73%-ს არასდროს მიუმართავს პოლიციისათვის. მიზეზებს შორის ისინი ასახელებენ პოლიციის არაეფექტურობას (21,62%), შიშს, რომ პოლიციას ჰომოფობიური რეაქცია ექნება (29.73%), 21.62%-მა კი ინციდენტი არასაკმარისად სერიოზულად ჩათვალა იმისათვის, რომ პოლიციაში განეცხადებინა. მათ შორის, ვინც პოლიციას მიმართა, 46.15% უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით, რადგან პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური რეაქცია შეხვდა, 30% - ამბობს, რომ პოლიციის რეაქცია მეგობრული იყო, 23.08%-მა კი განაცხადა, რომ მათ ნეიტრალურად მოექცნენ.⁴⁵

2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციის „იდენტობას“ მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, ბისექსუალ მამაკაცებსა და ტრანსგენდერებთან, აჩვენებს, რომ შეკითხვაზე „გამხდარხართ თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბოლო ორი წლის მანძილზე“ 48 რესპონდენტმა 109-დან დადებითად უპასუხა. მათგან, 36-მა ადამიანმა განაცხადა, რომ არასოდეს მიუმართავს პოლიციისათვის.⁴⁶

43 იხ. დანართი N1

44 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.

45 იგივე

46 Social being of Gay, bisexual and transgender men; Identity; 2013 See: <<http://identoba.files.wordpress.com/2014/01/e18392e18391e183a2-e18399e18390e183aa-e18394e18391e18398e183a1-e1839be18393e18392e1839de1839be18390e183a0e18394e1839de18391e18390-2012-201.pdf>> [last seen in 1.02.2014].

2015 წელს, WISG-მა დაასრულა მუშაობა ლგბ პირთა საჭიროებების კვლევაზე ჯანმრთელობის სფეროში⁴⁷. კითხვარი ასევე მოიცავდა ინფორმაციას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელთან შედარებით, იკლო რესპონდენტთა რაოდენობამ, ვინც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ საუბრობენ (გამოკითხულთა 20%-ს აქვს ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება), იმატა იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომლებიც 3-ჯერ ან მეტჯერ გამხდარან ძალადობის მსხვერპლი. მათ შორის, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, მხოლოდ 30%-მა მიმართა პოლიციას (20%-მა უფლებადაცვით ორგანიზაციას), ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე კი დაზარალებულთა მხოლოდ 4.4% მოიქცა ასე (უფლებადაცვით ორგანიზაციას იმავე რაოდენობის დაზარალებულმა მიმართა). ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, რესპონდენტები პოლიციისთვის არმიმართვიანობის მთავარ მიზეზად პოლიციის არაეფექტურობას, უნდობლობას, ქამინგ აუთის შიშსა და დროის არ ქონას ასახელებენ, უფლებადაცვითი ორგანიზაციების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ უმეტესობამ არ იცოდა, რომ შეეძლო მათთვის მიემართა და მიეღო ასეთი სერვისი (მხოლოდ 1 რესპონდენტი აღმოჩნდა, რომელიც თვლის, რომ უფლებადაცვითი ორგანიზაციებისთვის მიმართვა არაეფექტურია). ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში, დაზარალებულთა 72.1% თვლის, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის ცალკეული შემთხვევები არ წარმოადგენს „სერიოზულ“ მიზეზს, იმისათვის, რომ მიმართოს პოლიციას ან უფლებადაცვით ორგანიზაციას.

სამართალდამცავთა ეთიკის კოდექსი

პოლიციისათვის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულისა და შემთხვევების შესახებ მიმართვიანობაზე დაზარალებულისა თუ მოწმის მხრიდან გავლენას ახდენს პოლიციის რეაგირება ასეთ ფაქტებზე. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და დოკუმენტირებული ქეისები აჩვენებს, ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულზე რეაგირებისას, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს არასათანადო და/ან ჰომოფობიურ მოპყრობას პოლიციელთა მხრიდან.

საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსში ხაზგასმულია ადამიანის უფლებების პატივისცემა, კანონის შესაბამისობასა და მის ფარგლებში მოქმედება, რაც დაფუძნებულია თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. ეთიკის კოდექსში ხაზგასმულია პოლიციელის პასუხისმგებლობა, მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულებისას იხელმძღვანელოს მიუკერძოებლობის პრინციპით და არ დაუშვას დისკრიმინაციული მოპყრობა. კოდექსის განახლებული ვარიანტი, დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველთა შორის ასევე მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასაც: „პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ყველა ადამიანის პიროვნულ ღირსებას, მოეპყრას მათ სამართლიანად და მიუკერძოებლად მიუხედავად პირთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, სოციალური კუთვნილებისა, წარმომავლობისა, განათლებისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა ან/და სექსუალური ორიენტაციისა.“⁴⁸ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

WISG-ს მიერ 2009-2012 წლებში დაფიქსირებულია არაერთი ფაქტი, როდესაც პოლიცია ყურადღებას არ აქცევდა მესამე მხრის მიერ ჩადენილ დანაშაულებს; აგრეთვე გამოვლენილი იქნა პოლიციის

47 ე.აღდგომელაშვილი. ლგბ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. WISG. თბილისი. 2015.

48 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №999 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ . დანართი 1. საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი . http://police.ge/files/sajaro_informacia/etikis%20kodeqsi.pdf

ოფიცრების მხრიდან მუქარის, ცინიკური დამოკიდებულებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები⁴⁹. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ 2013 წლის 17 მაისის აიდაშოს მსვლელობას, ისევე, როგორც დაზარალებულებმა, აღნიშნეს, რომ პოლიციელთა ნაწილი „აქციის მონაწილეებს ერთმანეთთან საუბარში მოიხსენიებდნენ ცინიკურად და შეურაცხყოფილად და გარკვეულწილად თანაუგრძობდნენ კონტრდემონსტრანტებს. ეს დამოკიდებულება ასევე იგრძნობოდა მათ ქცევაში.“⁵⁰

პოლიციის ოფიცერთა მხრიდან ეთიკის კოდექსის უგულებელყოფის ფაქტები მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებული რეგულაციების განსახორციელებლად და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო მკაცრი კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

გენერალური ინსპექციის მონაცემებით, 2013-14 წლებში, ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო, დისციპლინარული სასჯელის სხვადასხვა ფორმა დაეკისრა პოლიციის 3992⁵¹ თანამშრომელს. თუმცა, რეაგირებაზე ჩაშლილი სტატისტიკის არარსებობა შეუძლებელს ხდის საერთო სურათის შექმნას, თუ რამდენად რეაგირებს გენინსპექცია ჰომო/ტრანსფობიის საფუძველზე ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე პოლიციელთა მხრიდან.

პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისკრიმინაციის აკრძალვას. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლში, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ეხება, მითითებულია, რომ: „1) პროკურატურის მუშაკი უნდა აცნობიერებდეს, პატივი უნდა სცეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუტუტით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა პროკურატურის მუშაკისათვის. 2) პროკურატურის მუშაკი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას“.⁵² ეთიკის კოდექსი პროკურატურის თანამშრომლებს უკრძალავს „ისეთი შეხედულებების გამოხატვას, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით“.⁵³

ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია ატარებს სამსახურებრივ მოძიებას და საქართველოს გენერალურ პროკურორს წარუდგენს მოძიების მასალებს, ასევე წინადადებებს პროკურატურის მუშაკის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სასწავლო პროგრამები სამართალდამცავთათვის

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვისა და ეფექტიანი რეაგირებისათვის, აუცილებელია, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებს გააჩნდეთ ასეთი დანაშაულისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელი

49 ა. ნაცვლიშვილი, ე. აღდგომელაშვილი. CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG. თბილისი. 2012;

50 არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება 17 მაისთან დაკავშირებით. <http://www.humanrightsgo.org/index.php?a=main&pid=16706&lang=geo>

51 შსს. გენერალური ინსპექცია. 2013-14 წლების სტატისტიკა. <http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/generaluri-inspektzia-departamenti?-sub=7401>

52 საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №5 2006 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ. მუხლი 5.

53 იგივე. მუხლი 6. პ.2

ცოდნა და უნარები. პრაქტიკაში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, არც მთავარი პროკურატურა არ ახდენს სამართალდამცავების სიღრმისეულ გადამზადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ადამიანის უფლებათა 7 წლიანი სტრატეგია და ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2014-15 წლებისათვის, რომელიც მოიცავს სოგ-ის საკითხებსაც.⁵⁴ თავი, რომელიც ჰომო- და ტრანსფობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას ეთმობა, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გარდა, ასევე მოიცავს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირების, ასეთი ტიპის დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა და სტატისტიკის წარმოების თაობაზე.

WISG-მა სათანადო წერილით მიმართა შსს აკადემიას. საპასუხო წერილში⁵⁵ მითითებულია, რომ: „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის“ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები. ამავე წერილში აღნიშნულია: „აღნიშნული საკითხები 2012 წლიდან ისწავლება შემდეგ სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: პატრულ-ინსპექტორთა მომზადების, უბნის ინსპექტორთა მომზადების, დეტექტივ-გამომძიებლის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დანაშაულების სპეციალური გადამზადების პროგრამებში/კურსში.“

წერილს თან ერთვის „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის“ სასწავლო პროგრამა. ამ პროგრამაში არასად არის ნახსენები სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი. ამასთან მითითებულია იურიდიული ლიტერატურა, სადაც, არათუ სიძულვილის მოტივის დადგენის მეთოდოლოგია და ტექნიკა არ არის მოცემული, არამედ სიძულვილის დანაშაულის სამართლებრივი არსიც საკმაოდ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის“ სასწავლო კურსის სახელწოდებით ისწავლება სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილი. ამავე კონტექსტში შსს აკადემიაში ხდება სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის სწავლებაც. აღნიშნული სასწავლო მასალა არასაკმარისია იმისათვის, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დადასტურდეს ან გამოირიცხოს სიძულვილის მოტივის არსებობა. ამისათვის აუცილებელია უფრო მეტი, ვიდრე კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ელემენტების ცოდნა.

განსხვავებული ვითარებაა პროკურატურის ორგანოებში. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საპასუხო წერილში⁵⁶ მითითებულია, რომ „პროკურორთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული სასწავლო პროგრამები 2014 წელს მოიცავდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც შესულია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მომზადებულ სასწავლო მოდულში. აღნიშნულ თემაზე სწავლება სულ პროკურატურის 80-მა მუშაკმა გაიარა. მოცემული მომენტისათვის ტრენინგის მონაწილეები პროკურატურის სისტემის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოებში საქმიანობენ.“ წერილს თან ერთვის ადამიანის უფლებების მოდული. ამ უკანასკნელში ერთ-ერთ საკითხად შესულია ისეთი თემები, როგორებიცაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არსი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ნორმას არავითარი გამოყენება პრაქტიკაში ამ დრომდე არ ჰქონია, გაუგებარია, რა პრაქტიკული მაგალითებით

54 ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2014-15 წლებისათვის. თავი 14.

55 საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემიის საპასუხო წერილი. 2015 წლის 19 თებერვალი #MIA 81500372753

56 საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საპასუხო წერილი. 2015 წლის 24 თებერვალი. #13/11024

ხდება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის გამოყენების მეთოდოლოგიის ახსნა, ეფუძნება თუ არა მოდულის ფარგლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები სხვა ქვეყნების გამოცდილებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საგამოძიებო ტექნიკის შესახებ.

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიიღოს, მაგრამ სასამართლო ამას აკეთებს სიძულვილის მოტივის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში. ამგვარი მტკიცებულებების აღმოჩენა და მისი სასამართლოსათვის წარდგენა პოლიციის და პროკურატურის მოვალეობაა. ყოველი კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში სიძულვილის მოტივის არსებობის შემოწმებას სჭირდება სათანადო ცოდნა, გამოცდილება და საგამოძიებო ტექნიკის გამოყენება, რაც დღეისათვის არ არსებობს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ამ დრომდე ვერ ხერხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოჩენა და რეგისტრაცია.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალური განყოფილებები

სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები აჩვენებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად, სამართალდამცავთა ცნობიერების ამაღლებასა და სპეციფიკურ ცოდნის მიღებაზე მიმართული ცალკეული აქტივობების გარდა, საკმაოდ ეფექტურად მოქმედებენ პოლიციაში შექმნილი სპეციალური განყოფილებები, რომელიც მთლიანად ფოკუსირებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე.

იმის გამო, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეპორტირების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი პოლიციის მიმართ უნდობლობა და ქამინგ აუთის შიშია, შესაბამისად, მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც სტატისტიკის მოპოვებაზე უშუალოდ სახელმწიფო მუშაობს. ხშირ შემთხვევაში, პირველადი მედიატორის როლს მსხვერპლსა და სამართალდამცავებს შორის ლგბტ ორგანიზაციები ასრულებენ. ზოგ ქვეყნებში, მსხვილ ლგბტ ორგანიზაციებს აქვთ ცხელი ხაზი/ვებ-გვერდი ძალადობის მსხვერპლთათვის⁵⁷. ისინი კი, თავის მხრივ, თანამშრომლობენ პოლიციის სპეციალურ ქვეგანყოფილებასთან, რომელიც უშუალოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობს.

ქვეყნებში, სადაც პოლიციაში არ არსებობს ასეთი სპეციალიზებული ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ იმუშავენ ლგბტ ჯგუფის წევრებთან და ორგანიზაციებთან, სტატისტიკის მოპოვება სხვაგვარად ხდება: სპეციალური ორგანიზაციების ნაწილი მხოლოდ მონიტორინგზე არის ორიენტირებული და პერიოდულად ატარებენ გამოკითხვებსა და კვლევებს, რათა უფრო მკაფიო გახდეს დისკრიმინაციის სფეროები, სიხშირე და ფორმები. სახელმწიფო ამ შემთხვევაში უკვე მზა პროდუქტის მომხმარებელია და მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის შედეგები და პრობლემატური სფეროების გამოკვეთა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, ნაკლებად ეხმარება ნდობის ხარისხის გაუმჯობესებას პოლიციის მიმართ.⁵⁸

საქართველოში არსებული ჰომოფობიური გარემოსთვის, პოლიციელთა მიმართ ნდობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, ოპტიმალური იქნებოდა ასეთი განყოფილების შექმნა. საქართველოში არ არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც კონკრეტულად სიძულვილის საფუძველზე ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მიიღებდა განცხადებებს და გამოიძიებდა მათ.

57 ასეთი სქემები მოქმედებს შვედეთსა და ზორვატიაში,

58 ე. ალდგომელაშვილი. ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2013;

ცნობიერების ამაღლების კამპანიები

ამგვარად, სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული დღემდე რჩება ლგბტ ჯგუფისა და საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემად. სხვადასხვა მიზეზების გამო (სამართალდამცავთა ნაკლები მგრძნობელობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ და ამ ტიპის დანაშაულის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ცოდნის არქონა, ქამინგ აუთის შიში, ჰომოფობიური მოპყრობის გამოცდილება პოლიციის მხრიდან, ჯგუფის წევრთა დაბალი თვითშეფასება, რომლის გამოც ისინი არ ანიჭებენ სერიოზულ მნიშვნელობას ამგვარ დანაშაულს, ან თვლიან რომ „იმსახურებენ“ ამგვარ მოპყრობას და სხვ.), ამგვარი დანაშაული ხშირად აღურიცხავია არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უფლებადაცვითი ორგანიზაციების დონეზეც კი. საჭიროა მულტიდისციპლინარული მიდგომების გამომუშავება - ერთი მხრივ საზოგადოებასთან და ლგბტ ჯგუფთან მუშაობა და, მეორე მხრივ, სამართალდამცავების სენსიტიურობისა და ცოდნის ამაღლება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

სხვა ქვეყნები, იმისათვის, რომ გაზარდონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვიანობა, მიმართავენ ფართომასშტაბიან კამპანიებს ინფორმირებულობის გასაზრდელად. ზოგ ქვეყანაში (მაგ. შვედეთი, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია) შემუშავებულია სპეციალური სახელმძღვანელოები ლგბტ ჯგუფის წევრებისათვის, სადაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მკაფიო განმარტების გარდა, მითითებულია ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც მსხვერპლს დაეხმარება, აღიდგინოს დარღვეული უფლებები.

რეკომენდაციები

- დაიგეგმოს და განხორციელდეს ფართო საგანმანათლებლო კამპანიები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით;
- მიღებული იქნას ყველა ზომა, პოლიციის ოფიცრებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების ეთიკის კოდექსის ეფექტურად განსახორციელებლად, რათა გამოირიცხოს ლგბტ პირების მიმართ სახელმწიფო დაწესებულებებში ჰომოფობიური ქცევის და დამოკიდებულების გამოყენება. ამის მკაცრი უზრუნველყოფა, სხვა ზომებთან ერთად, უნდა მოიცავდეს დისციპლინარული და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის სანქციების გამოყენებას მათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს ქცევის კოდექსს ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო დებულებებს.
- უზრუნველყოფილი იქნას პოლიციისა და მოსამართლეთათვის გათვალისწინებულ სასწავლო პროგრამებში სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა, რათა შეძლონ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულებათა იდენტიფიკაცია, ასევე დაზარალებულებისა და მოწმეებისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა;
- შეიქმნას სპეციალური განყოფილება/ჯგუფი პოლიციაში, რომელიც ორიენტირებული იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და შემთხვევების გამოიძიებაზე და ითანამშრომლებს ლგბტ ორგანიზაციებთან/ჯგუფის წარმომადგენლებთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად;

- სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა შემთხვევების სიხშირისა და ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს არსებული საჩივრების სისტემა (ან შეიქმნას სხვა ადვილად ხელმისაწვდომი ფორმა), რომელიც საშუალებას მისცემს მესამე პირს, მიაწოდოს სამართალდამცავებს ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ. ამასთან, შემუშავდეს აღნიშნული სერვისის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები;

ქეისის ნიმუშები

ქეისი #W59 ახალგაზრდა გეი მამაკაცი უცნობ პირთა ჯგუფმა რამდენჯერმე სცემა და თავშესაფრიდან გაიტაცა

მამრობითი, ჰომოსექსუალი, 23 წლის

2013 წლის 19 მაისს, თბილისში, მარტყოფის ქუჩაზე, დაზარალებულს თავს დაესხა უცნობ პირთა ჯგუფი, რომლებმაც სცემეს. დაზარალებულის თქმით, მიზეზი მისი სექსუალური ორიენტაცია იყო. ცემის დროს, დაზარალებულს ჯიბიდან ამოუვარდა პირადობის მოწმობა, რომელზეც მისი საცხოვრებელი ადგილი იყო მითითებული. 26 მაისს, სავარაუდოდ იგივე პირები, დაზარალებულს მისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში დაესხნენ თავს. თავდასხმის მიზეზი ამ შემთხვევაშიც დაზარალებულის სექსუალური ორიენტაცია იყო. ორივე შემთხვევაში, დაზარალებულმა მიმართა პოლიციას.

პირველ შემთხვევაში, პატრულმა ყურადღება არ მიაქცია დაზარალებულის განცხადებას. მეორე შემთხვევაში, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ცემის მუხლით (სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა, გამოძიებამ ვერ შეძლო თავდამსხმელი პირების ვინაობის დადგენა.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, დაზარალებულის ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა მისი სექსუალური ორიენტაცია, რაც დამატებით ოჯახის წევრთა მხრიდან ძალადობის მიზეზი გახდა. დაზარალებულმა სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეშვეობით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარს შეაფარა თავი.

ნ აგვისტოს დაზარალებული პირი თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს უცნობმა პირებმა, სცემეს და ხელშეკრული დატოვეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღიძრა კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე იმავე მუხლით (125-ის 1 ნაწილი), თუმცა, თავდამსხმელთა ვინაობა ვერც ამ შემთხვევაში დადგინდა.

დაზარალებული 2013 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა უკრაინაში და იქიდან გაეროს ოფისის მეშვეობით მოითხოვა თავშესაფარი მესამე ქვეყნებში. მისი თხოვნა დაკმაყოფილდა და ამჟამად იმყოფება აშშ-ში.

ქეისი #I46 გეი მამაკაცი სასტიკად იქნა მოკლული საკუთარ ბინაში

მამრობითი, ჰომოსექსუალი, 46 წლის

2012 წლის აპრილში, ქუთაისში, გეი მამაკაცი სასტიკად იქნა მოკლული თავის ბინაში. მისი ცხედარი ნაპოვნი იყო სახისა და თავის არეში მრავლობითი ზედაპირული ჭრილობებით, რომლებიც მიყენებული იყო ბასრი საგნით. მსხვერპლს ასევე ჰქონდა რამდენიმე შემავალი ჭრილობა და გარდაცვლილი იყო გაგუდვით. მსხვერპლის მეგობრებმა განაცხადეს, რომ მისი ბინის კედლებს ჰქონდათ წარწერა „ჰომოსექსუალი“ მიხატული. მკვლელობა გამოძიებული იქნა, როგორც ყაჩაღობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ხსენების გარეშე.

ქეისი #W57 ახალგაზრდა ტრანსგენდერი ადამიანი 17 მაისს რუსთაველზე 6-მა პირმა სცემა

ტრანსგენდერი კაცი, 17 წლის

2013 წლის 17 მაისს, თბილისში, დაზარალებული უნივერსიტეტიდან სახლში ბრუნდებოდა. მეტროში ჩასვლისას, ერთ-ერთმა გამვლელმა დაიძახა, გეი არისო, რის შემდეგაც 6 პირი გამოეყენა. ორასიოდე მეტროში წამოეწივნენ, წააქციეს და სცემეს. პოლიციისთვის არ მიუმართავს, ვინაიდან გარშემო ბევრი ხალხი იყო და დარწმუნებული იყო, რომ თავდამსხმელებს ვერ ან არ იპოვიდნენ, არც ექიმისთვის მიუმართავს, ჭრილობები დედამისმა დაუმუშავა, რომელსაც უთხრა, რომ მეგობარს გამოესარჩლა და მაშინ მიიღო დაზიანებები.

ქეისი #W56 ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა გეი მამაკაცზე

მამრობითი, ჰომოსექსუალი, წლის, გ.მ.

2013 წლის 17 ივნისს, 6-ის ნახევარზე, მსხვერპლს მიუახლოვდა ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი, დაახლოებით 25-30 წლის. უცნობმა გააჩერა მსხვერპლი და უთხრა, გაჰყოლოდა მას ძველი საბაგიროს სადგომზე. მსხვერპლმა უარი უთხრა. თავდამსხმელმა ჰკითხა მას სახელი და მსხვერპლმაც უთხრა მისი სახელი. ამის შემდეგ თავდამსხმელმა უთხრა, რომ იცოდა მისი ფეისბუქის გვერდის მისამართი და რომ უნდა გაჰყოლოდა მას სადგურთან და ელაპარაკათ. უარის შემდეგ მამაკაცმა მას ხელი ჩაავლო და სცადა, ძალით წაეთრია სადგურისკენ. ამოიღო მობილური ტელეფონი და დაიწყო მსხვერპლის გადაღება, თან ყვიროდა, რომ ის იყო ერთ-ერთი ბიჭი, რომელიც 17 მაისის დემონსტრაციაში იღებდა მონაწილეობას და რომ მას ფეისბუქის გვერდზე, მკრეხელური ფოტო ედო, სადაც შიშველია ჯვართან ერთად. თავდამსხმელი ცემით დაემუქრა დაზარალებულს. მათ მიუახლოვდა გამვლელი ქალი, რომელიც სიტუაციის განმუხტვას შეეცადა. სანამ მამაკაცი ხსნიდა, რომ ბიჭი 17 მაისის დემონსტრაციის ერთერთი მონაწილე იყო, მსხვერპლმა გაქცევა მოახერხა.

ძალადობის კიდევ ერთი ფაქტი გ.მ.ს და მის მეგობრებს ზემოთ აღწერილ ინციდენტამდე 10 დღით ადრე შეემთხვათ. გ.მ. სამ გოგოსთან ერთად იმყოფებოდა კაფე გალერის წინ, სადაც მათ სამმა ახალგაზრდა კაცმა და სამმა გოგომ ჩაუარეს. ერთ-ერთმა გოგომ გ.მ.-ს ფეხსაცმელზე დააფურთხა, რადგან ფეხსაცმელს ზედ ჯვარი ჰქონდა. გ.მ.-ს მეგობრებმა მისი დაცვა სცადეს მაგრამ ერთ-ერთმა ბიჭმა გამვლელთა ჯგუფიდან გ.მ.-ს მეგობარ გოგოს ჩაავლო ხელი და ცემა დაუწყო. ამის შემდეგ დამნაშავეები გაიქცნენ და ძველ საბაგიროს სადგურს შეაფარეს თავი. დაზარალებულებმა გამოიძახეს პოლიცია, რომელიც მოვიდა და ირწმუნებოდა, რომ არ შეეძლოთ

საბაგიროს სადგურზე წასვლა და დამნაშავეების მოძებნა. მათ უთხრეს გ.მ.-ს და მის მეგობრებს, გაჰყოლოდნენ პოლიციაში. დაზარალებულებს შორის ორი არასრულწლოვანი გოგო იყო. პოლიციის თანამშრომლებმა გააფრთხილეს, რომ თუ საჩივარს დაწერდნენ, მთელი ღამის პოლიციაში გატარება მოუწევდით, ხოლო თუ განცხადებაში დაწერდნენ, რომ არ სურთ, იჩივლონ, მაშინ მალევე გაუშვებდნენ. საბოლოოდ, მათ საჩივარი არ დაუწერიათ.

ქეისი #W54 ტრანსგენდერ ქალს დაუწვეს თმა და სცემეს

ინტერსექსი, ტრანსგენდერი ქალი, 25 წლის

2013 წლის მაისის ბოლოს, თბილისში, ბუკიას ბაღთან დაზარალებულს მიაძახეს: „მოდი აქ შე პიდარასტო! ეგ რა პიდარასტული ვარცხნილობაა?!“ თავდამსხმელები დაზარალებულს უყვიროდნენ, უნდა გამოგასწოროთო და შეძახილების ფონზე დაზარალებულს დაუწვეს თმა და სცემეს. დაზარალებულს არ მიუმართავს არც პოლიციისთვის და არც სახალხო დამცველისთვის.

ქეისი #W55 ტრანსგენდერი კაცი ყოფილმა მეზობელმა სცემა

ტრანსგენდერი კაცი, 51 წლის

2014 წლის 28 ივნისს ღამით, თბილისში, ერთ-ერთ ქუჩაზე, ორმა ახალგაზრდებმა დაზარალებულში ყოფილი მეზობელი ამოიცივნეს, სცემეს, და გონებადაკარგული დატოვეს ქუჩაში. დილით ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება და დაზარალებული გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში. დაზარალებულს არ მიუმართავს პოლიციისთვის. დაზარალებულის განმარტებით, მან ამოიცნო თავდამსხმელები და თუ პოლიციას მიმართავდა, ეშინოდა, რომ მოკლავდნენ. მხოლოდ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა თავშესაფარი. შემთხვევა არ გახმაურებულა, იგი დაფიქსირდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატისა და WISG-ის მიერ.

ქეისი #W61 ტრანსგენდერი ქალის მკვლელობა

ს.ბ. ტრანსგენდერი ქალი, 23 წლის.

2014 წლის 11 ნოემბერს, ტრანსგენდერი ქალი სასტიკად იქნა მოკლული თბილისში, თავის საცხოვრებელ ბინაში. მკვლელობა მას მიაყენა მრავლობითი ჭრილობა დანით, რის შემდეგაც ცეცხლი წაუკიდა ბინას და მიიძალა. პოლიციამ ეჭვმიტანილი მეორე დღესვე დააკავა. ბრალდებულმა დაკავებისას ჩვენებაში განაცხადა, რომ ს.ბ.-ს მისი ვალი ჰქონდა, რომლის დაბრუნებაზეც უარს ამბობდა და ამის გამო იყო მასთან ბინაში მისული. ბრალდებულის თქმით, ურთიერთშელაპარაკების დროს ს.ბ. თავს დაესხა, ის კი თავს იცავდა და არ ჰქონდა წინასწარ განზრახული მისი მოკვლა. რაც შეეხება ხანძარს, მისი თქმით, ხანძარი სავარაუდოდ ჩაუმქრალმა სიგარეტმა გამოიწვია, რომელიც მას ბინაში დაუვარდა. თუმცა, ფაქტები საწინააღმდეგოზე მეტყველებს. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა მიუთითეს, რომ მათ ს.ბ.-ს საცხოვრებელ ბინაში ხანძრის ორი კერა დახვდათ. იმავეს მიუთითებს ექსპერტიზის დასკვნაც და იმაზე მიანიშნებს, რომ ხანძარი განზრახ იყო მოწყობილი. ბრალდებულმა ასევე აღიარა, რომ მკვლელობის იარაღი მან უშუალოდ გარდაცვლილთან ბინაში

მისვლამდე შეიძინა. ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი ს.ბ.-ს ბინაში მკვლელობის განზრახვით იყო მისული. არც გამოძიების და არც სასამართლოს მსვლელობისას, მოწმეთა დაკითხვის პროცესში მკვლელობის მოტივი ნათლად არ გამოკვეთილა.

2014 წლის 13 ნოემბერს, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ და „იდენტობამ“ გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადამიანი, რომელიც ბრალდებულია (და რომელმაც აღიარა) ს.ბ.-ს მკვლელობაში, იმავე საღამოს თავს დაესხა სხვა ტრანსგენდერ ქალს და სცადა მისი მოკვლა. ეს განამტკიცებს ვარაუდს, რომ მკვლელობა იყო სიძულვილით მოტივირებული.

2014 წლის 13 ნოემბერს, WISG-მა ღია წერილით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს⁵⁹, რომელშიც მოუწოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოძიებაში ყველა იმ დეტალის შესწავლასა და ანალიზს, რომლებიც შესაძლოა, მიუთითებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე. სასამართლო ამ ეტაპზე იმყოფება ექპერტების დაკითხვის ეტაპზე. ჯერ-ჯერობით უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. პროცესი უნდა დასრულდეს 2015 წლის აგვისტომდე.

ქეისი #145 მამაკაცი ტრანსგენდერ ქალს ელექტროშოკით დაესხა თავს

ბ.შ. ტრანსგენდერი ქალი, 21 წლის

2014 წლის 10 ნოემბერს, თბილისში, ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ მისავე საცხოვრებელ ბინაში. დაზარალებულის თქმით, ბრალდებული სულ 2-ჯერ ჰყავს ნანახი. 2014 წლის 10 ნოემბერს დაზარალებული შეუთანხმდა თავდამსხმელს სექს მომსახურებაზე და სწორედ ამ მიზნით უთხრა მას თავისი საცხოვრებელი მისამართი. ამ დროს დაზარალებულს ახალი გაკეთებული ჰქონდა მკერდის ოპერაცია.

დაახლოებით 19 საათზე ბრალდებული მივიდა დაზარალებულის სახლში და სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა ელექტროშოკის მეშვეობით, რომელიც დაარტყა მკერდის მიდამოში, შემდეგ კი მის დახრჩობას შეეცადა. დაზარალებულმა წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელს. ხმაურზე დასახმარებლად მოვიდნენ მეზობლები და თავდამსხმელი გაიქცა. წასვლამდე თავდამსხმელმა ისიც თქვა, რომ იგი მეორე ტრანსგენდერთან აპირებდა წასვლას (დაზარალებულის თქმით, ის მაშინ ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა თავდამსხმელი და მხოლოდ მეორე დღეს, მას შემდეგ ს.ბ.-ს მკვლელობის ფაქტი შეიტყო, დაუკავშირა ეს მუქარა კონკრეტულ ადამიანს).

თავდამსხმელის წასვლისას მას ჰქონდა დაღურჯებები, კაბა ჰქონდა შემოხეული, კისრის არეში ჰქონდა დაზიანება, ასევე მკერდის ოპერაციის ნაკერები ჰქონდა გადახსნილი, რის გამოც, ექიმის თქმით, მას ამის გამო სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება.

დაზარალებულმა გადაწყვიტა მიემართა პოლიციისათვის, თუმცა მას შემდეგ, რაც თავდამსხმელმა ტელეფონზე დაურეკა, უთხრა, რომ ის თავად მუშაობს პოლიციაში და დაემუქრა, რომ პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაში სასტიკად გაუსწორდებოდა, დაზარალებულმა შიშის გამო გადაიფიქრა იმ საღამოს საჩივარის შეტანა.

დილით დაზარალებულს ტელეფონით შეატყობინეს ს.ბ.-ს მკვლელობის შესახებ. დაზარალებულმა უცნაურად მიიჩნია საბის მკვლელობა მასზე თავდასხმიდან რამდენიმე საათში. მან მიმართა პოლიციას განცხადებით. ასევე დაუკავშირდა საქართველოში მოქმედ ლგბტ თემის უფლებადამცველ ორგანიზაციებს. 13 ნოემბერს, ორგანიზაციებმა, „იდენტობამ“ და EMC-მ

59 <http://women.ge/2014/11/14/mtfhatecrime/>

სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ს.ბ.-ს მკვლელობასა და ბ.შ.-ზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი ერთი და იგივე პირი იყო, რაც სავარაუდოდ მიუთითებდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არსებობაზე.

ბ.შ.-ს საქმე ამჟამად ძიების პროცესშია.

IV. შეკრებისა და გამომხატვის თავისუფლება

საერთაშორისო სტანდარტები და მემკვიდრეობა

შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება იცავს მოქალაქის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში. ეს ძირითადი უფლება წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიშანს. მანიფესტაციების თავისუფლება, ანუ უფლება საკუთარი მოსაზრებების ერთობლივ საჯარო გამოცხადებაზე, წარმოადგენს შეკრების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას. დემოკრატიული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მის მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეკრებებზე გამოთქვან თავიანთი შეხედულება, მოუსმინონ სხვა მოქალაქეთა მოსაზრებებს და მანიფესტაციების საშუალებით საჯაროდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. გარდა ამისა, შეკრების თავისუფლების დაცვა ამასთანავე გულისხმობს ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების პატივისცემას და აღიარებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა. დაუშვებელია რამე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი ადგენს, რომ შეკრების თავისუფლების შეზღუდვა, *inter alia*, უნდა აკმაყოფილებდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის მოთხოვნას. დემოკრატიულ საზოგადოებას ევროპული სასამართლო განმარტავს და მის არსებით კრიტერიუმებად პლურალიზმს, ტოლერანტობასა და ღია აზროვნების ხელშეწყობას განსაზღვრავს.

FRA-ს კვლევებმა აჩვენა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ზოგ სახელმწიფოში გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების გამოყენება ლგბტ ადამიანებისა და ჯგუფების მიერ, ზოგჯერ წარმოშობს მტრულ განწყობას, რაც ხშირად იწვევს მარშის აკრძალვას ან ძალადობრივ თავდასხმას დემოსტრანტებზე, პოლიცია კი ვერ იცავს დემონსტრანტებს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეს ბევრ შემთხვევაში პოლიტიკური ნების არარსებობას უკავშირდება: მიუხედავად პოზიტიური ვალდებულებისა, დაიცვან საკუთარი მოქალაქეები დისკრიმინაციისაგან, ხელისუფლების წარმომადგენლები სინამდვილეში იზიარებენ გეი-პრაიდის ჩატარების მონინალმდევრეთა პოზიციას და ხშირად ღიად უჭერენ მათ მხარს, რითაც აქეზებენ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულს.⁶⁰

ლგბტ ჯგუფის წევრებისათვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პრაქტიკა ძირითადად საზოგადოებრივი წესრიგის გაძლიერებულ დაცვაში გამოიხატება.

ამასთან, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მშვიდობიანი შეკრებების და აქციების უფლების რეალიზება და

⁶⁰ Homophobia, transphobia and discrimination on ground of sexual orientation. Comparative legal analysis. FRA. 2010.

პროცესში მონაწილე პირთა დაცვა პოლიციის მიერ, რათა არ მოხდეს მათზე ფიზიკური ძალადობა ან მათი შევიწროება.⁶¹ ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს ამ პრინციპის დაცვის მნიშვნელოვანებას იმ შემთხვევაში, თუ საქმე უმცირესობათა ჯგუფს ან ისეთ პირებს ეხება, ვინც არაპოპულარულ მოსაზრებებს გამოხატავს.⁶² კონტრდემონსტრანტთა მხრიდან ძალადობის ფაქტების არსებობის შემთხვევაში კი ასკვნის, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, აღკვეთოს ძალადობა, რომელიც მიმართულია მანიფესტანტების წინააღმდეგ.⁶³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე ალექსეევი რუსეთის წინააღმდეგ განხილვის საგანს წარმოადგენდა რუსეთის მერიის მიერ ლგბტ პირების შეკრებისა და დემონსტრაციის აკრძალვა. რუსეთის ხელისუფლების არგუმენტი იყო თავად ლგბტ პირთა უსაფრთხოების დაცვა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრევენცია.⁶⁴ აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „...კონვენციის მე-11 მუხლი იცავს ისეთი დემონსტრაციის თავისუფლებასაც, რომლითაც შესაძლოა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ ან გაღიზიანდნენ საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანები. ამის მიუხედავად, ამგვარი დემონსტრაციის მონაწილეებს არ უნდა ჰქონდეთ იმის შიში, რომ საკუთარი ოპონენტების მხრიდან დაექვემდებარებიან ფიზიკურ ძალადობას.“⁶⁵ ზოგადი წესის თანახმად, როდესაც კონტრდემონსტრანტების მხრიდან არსებობს სერიოზული ძალადობის საფრთხე, სასამართლო ფართო თავისუფლებას ანიჭებს სახელმწიფოს, შეარჩიოს შეკრების ხელის შეშლისაგან დაცვის საშუალება. ამის მიუხედავად, მხოლოდ ძალადობის რისკის არსებობა არასაკმარისია დაგეგმილი ღონისძიების გასაუქმებლად. ხელისუფლებას ევალება დაადგინოს შეკრების ჩაშლის რა კონკრეტული რისკები არსებობს, რა რესურსები გააჩნია სახელმწიფოს ძალადობრივი შეტაკების საფრთხის ნეიტრალიზებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში წინასწარ არ მოხდა იმ რისკების შეფასება, რასაც კონტრდემონსტრანტები უქმნიდნენ ლგბტ პირების შეკრებას.⁶⁶ ამ გარემოების გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიმართ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა.

აღზილობრივი სამართლებრივი გარემო

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი იცავს შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებას, რომლის თანახმადაც, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე - გარეთ. ხოლო კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

61 Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria (21 June 1988) (police have a „positive obligation“ to protect a demonstration against counter-demonstrators who try to disrupt it);

62 Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden v. Bulgaria (2 Oct. 2001) ...protects a demonstration that may annoy or give offence to persons opposed to the ideas ... it is seeking to promote ...107. ... The national authorities must display particular vigilance to ensure that national public opinion is not protected at the expense of the assertion of minority views, no matter how unpopular they may be; *B czkowski and Others v. Poland* (Application No. 1543/06). (violation of Art. 11. and Art. 14 combined with Art. 11) (refusal to permit LGBT Pride March in Warsaw in June 2005);

63 United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria (20 Oct. 2005) 115. ... [T]he authorities appeared somewhat reluctant to protect the members and followers of Ilinden from a group of counter-demonstrators. As a result, some of the participants in Ilinden's rally were subjected to physical violence from their opponents ... The authorities were ... bound to take adequate measures to prevent violent acts directed against the participants in Ilinden's rally, or at least limit their extent. ...

64 ალექსეევი რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 72-ე პარაგრაფი <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-101257>

65 ალექსეევი რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 73-ე პარაგრაფი

66 ალექსეევი რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 75-ე პარაგრაფი

შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი განსაზღვრავს შეკრებისა და მანიფესტაციების წესს, რომელიც ადგენს გარკვეულ რეგულაციებს და აწესრიგებს პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს არადისკრიმინაციული.

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები შეკრებებისა და გაერთიანების შესახებ კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 14 ივლისს. ამის შემდეგ 2011 წლის 26 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ('ვენეციის კომისია') და სთხოვა მოსაზრებების წარმოდგენა აღნიშნული კანონის შესახებ.

2011 წლის 17 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა მისი საბოლოო მოსაზრება შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონის შესახებ⁶⁷. კომისია რეკომენდაციას აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი გაფრთხილების პირობები უნდა ყოფილიყო უფრო მოქნილი (იხ. CDLAD(2010)009, § 34; CDL(2009)152, §§ 21 and 22). კერძოდ, ვენეციის კომისია აღნიშნავდა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც შეუძლებელს ხდის გაფრთხილების ცვლილებებს შეტანას, სპონტანური შეკრების ჩატარებას შეტყობინების გარეშე და ასევე პარალელური შეკრების ჩატარებას. ამ შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ კანონის თანახმად გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში შეტანილი უნდა იქნას მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ვენეციის კომისიამ მის დასკვნაში აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი რეკომენდაცია სამწუხაროდ არ იქნა გაზიარებული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კანონის საბოლოო ვერსიაში.

არსებული პრაქტიკა

მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლებით სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. მსგავსი მსვლელობის წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევა კი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

ამ მხრივ, არსებობს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური გამოცდილება. 2012 წლის 17 მაისს პოლიციამ ვერ შეძლო მშვიდობიანი დემონსტრანტების მესამე მხარის მიერ განხორციელებული ძალადობისაგან დაცვა. თუმცა, 2012 წლის 18 მაისს, როდესაც დემონსტრაცია თბილისში, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ იქნა ორგანიზებული, პოლიციამ ეფექტურად დაიცვა დემონსტრანტები მტრულად განწყობილი კონტრდემონსტრანტებისაგან⁶⁸. აქციაში ლგბტ ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერების გარდა

67 *Venice Commission* CDL-AD(2010)009, Opinion no.547/2009, adopted 12-13 March, 2010. [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2009\)128-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)128-e)

68 რამდენიმე ათეული ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი) აქტივისტი და მათი მომხრეები 18 მაისს პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ, რათა პროტესტი გამოეხატათ ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც წინა დღით ჰქონდა ადგილი, როდესაც ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთაველის გამზირისკენ მიმავალ ლგბტ აქტივისთა მსვლელობას გზა გადაუღობეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა, მათმა მომხრეებმა და სასულიერო პირებმა. რამდენიმე უმნიშვნელო დაძაბული მომენტის მიუხედავად პარლამენტის წინ გამართული ერთსაათიანი აქცია ჰომოფობიისა და ძალადობის წინააღმდეგ მშვიდობიანად დასრულდა. რამდენიმე გამკლავებული უცნაო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა აქციის მონაწილეთათვის, თუმცა სერიოზული ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. ერთ მომენტში პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეებს გაარიდეს ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, რათა მის მხრიდან დანაშაულები სიტყვიერ შეურაცხყოფებს გართულება არ მოჰყოლოდა. ახალგაზრდამ საბოლოო ჯამში ქაშუეთის ეკლესიას შეაფარა თავი, რომლის მოძღვარიც ეკლესიის მხარეს შეკრებილ ადამიანებს აფრთხილებდა, რომ არ მიკარებოდნენ პარლამენტის წინ გამართულ აქციას, რათა ადგილი არ ჰქონოდა შესაძლო „პროვოკაციებს“ ლგბტ აქტივისტების მხრიდან. web-portal civil.ge. 18.05.2012. <http://www.civil.ge/eng/category.php?id=87&gallery=81>

მონაწილეობას საქართველოში არსებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებიც იღებდნენ. რაც შეეხება რეაგირებას: 2012 წლის 17 მაისს აქციის მონაწილეებზე თავდასხმას არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან⁶⁹.

მიუხედავად წინა წლის გამოცდილებისა და რიგი პრევენციული ღონისძიებების გატარებისა (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გამართეს რამდენიმე შეხვედრა როგორც აქციის, ისე კონტრაქციის ორგანიზატორებთან, დაიგეგმა აქციის მონაწილეთა უსაფრთხო ევაკუაციის გეგმა და ა.შ.), 2013 წლის 17 მაისის აქციაზე სახელმწიფომ ვერ შეძლო, განხორციელებინა პოზიტიური ვალდებულება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით. კონტრდემონსტრანტებმა გაარღვიეს პოლიციის კორდონი და სიტუაცია უმართავი გახდა. პოლიციამ აქციის მონაწილეთა ევაკუაცია დაიწყო. თუმცა, ერთი ავტობუსი თავისუფლების მოედანზე და მიკროავტობუსი ვაჩნაძის ქუჩაზე კონტრაქციის მონაწილეებმა ალყაში მოაქციეს. კონტრ-დემონსტრანტებმა ჩაამტვრიეს მიკროავტობუსის ფანჯრები, ცდილობდნენ შიგნით შეღწევას (ერთ ადამიანს თავი ჰქონდა გატეხილი, სამს ტვინის შერყევა, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები ჰქონდათ). ესროდნენ ქვებსა და სხვადასხვა ნივთებს, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. პატრულის დახმარებით მიკროავტობუსი გაარიდეს აქციის ადგილს. ამ პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კონტრაქციის მონაწილეებმა სცემეს ადამიანები, რომლებიც მათ ლგბტ პირებად მიიჩნიეს. მაგ. იმავე საღამოს სუპერმარკეტ „სმარტის“ წინ სასტიკად სცემეს 2 გოგონასა და 2 ბიჭს. 2013 წლის 17 მაისს აქციის დარბევასა ოფიციალური მონაცემებით დაშავდა 28 ადამიანი. მომდევნო დღეებში გახშირდა თავდასხმა ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლებზე. როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“, ისე ორგანიზაცია „იდენტობამ“ დააფიქსირეს ძალადობის გახშირებული ფაქტები ლგბტ ჯგუფის წევრებზე 17 მაისის მომდევნო დღეებში.

17 მაისის მომხდარ ძალადობას არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა პოლიტიკოსთა მხრიდანაც⁷⁰. ცალკეული პოლიტიკოსების მკაცრი განცხადებების ფონზე, რომელთაც დაგმეს 17 მაისის მომხდარი ძალადობა, პარლამენტართა ერთი ნაწილი განაგრძობდა ღია ჰომოფობიური განცხადებების გავრცელებას და აქციის ორგანიზატორთა დადანაშაულებას ძალადობის „პროვოცირებაში“⁷¹. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი, რომელიც თავიდანვე გაუმართლებლად მიიჩნევდა ასეთი აქციის ჩატარებას, შეფასებისას აპელირებდა კულტურულ, ტრადიციულ და რელიგიულ ფასეულობებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადოდ ვერ განჭვრიტა კონტრდემონსტრანტებისგან მომდინარე საფრთხე, ასევე არ მიიღო კონტრდემონსტრანტებისგან მოსალოდნელი რისკების პრევენციისთვის ეფექტური წინასწარი ზომები, რის გამოც უსაფრთხოების ის გეგმა, რომელიც მან 17 მაისის აქციის ჩატარების მიზნით შეიმუშავა, იმთავითვე არაეფექტური აღმოჩნდა“.⁷² აქციის დამკვირვებელთა პირველად შეფასებაში ასევე მითითებულია, რომ პოლიცია არ მოქმედებდა კოორდინირებულად, პოლიციელთა ნაწილი კი „აქციის მონაწილეს ერთმანეთთან საუბარში მოიხსენიებდნენ ცინიკურად და შეურაცხყოფელად და გარკვეულწილად თანაუგრძობდნენ კონტრდემონსტრანტებს. ეს დამოკიდებულება ასევე იგრძნობოდა მათ ქცევაში.“⁷³ სამართალდამცავთა მოქმედებას კრიტიკულად აფასებს ომბუდსმენიც.

69 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-per-sons-in-Georgia_GEO-www.pdf

70 ჰომოფობიასთან ბრძოლის მსოფლიო დღე საქართველოში ჰომოფობიით აღნიშნეს. 24 საათი 18.05.13. <http://24saati.ge/index.php/category/news/2013-05-18/38082>

71 იხ. მაგ. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ჰომოფობიური განცხადებები 17 მაისს. ნეტგაზეთი.2013.05.17. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/19709/>

72 <http://gyla.ge/gEO/news?info=1621>

73 <http://www.humanrightsgo.org/index.php?a=main&pid=16706&lang=geo>

ეს შეფასება არ გაიზიარა პოლიტიკოსთა დიდმა ნაწილმა და პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტმა, რომლის მიერ მომზადებულ დასკვნაშიც ნათქვამია: „კომიტეტი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოავლინა მაქსიმალური ძალისხმევა და პასუხისმგებლობა, რითიც შესაძლებელი გახდა მოსალოდნელი მსხვერპლის თავიდან აცილება.“ თუმცა, რეკომენდაციას აძლევს შსს-ს: „შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართალდამცავები, რომლებსაც ევალებათ წესრიგის უზრუნველყოფა შეკრების დროს, უნდა ფლობდნენ შეკრების მართვის ტექნიკასა და ე.წ. „რბილ“ უნარ-ჩვევებს. ვინაიდან შეკრების მართვა მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრიორიტეტად განსაზღვროს თანამშრომლების სპეციალური მომზადება მითითებულ საკითხებში“.⁷⁴

სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2014 წელს შსს-ს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი მასების მართვის შესახებ. სწავლების დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები (ნორმატიული აქტები), ორგანიზატორების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, პოლიციის მუშაობის სპეციფიკა, ეთიკის ნორმები და ადამიანის უფლებების დაცვა, პოლიციის როლი სექსუალური უმცირესობების (ლგბტ) მიერ გამართული მანიფესტაციების დროს და სხვა. მომზადება გაიარეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა, სულ ოცდაათმა მონაწილემ. სახალხო დამცველის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავების მომზადება ამ მიმართულებით მომავალშიც აქტიურად და გაცილებით ფართო მასშტაბებით გაგრძელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ იქნება საკმარისი არსებითი გაუმჯობესების მისაღწევად.⁷⁵

2014 წელს, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, 17 მაისს დააწესა ოჯახის სიმტკიცის დღე და სხვა ღონისძიებებთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მასობრივი მსვლელობა დააანონსა. უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო, 2014 წელს, ლგბტ და უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ რამე მასშტაბური საჯარო აქციის ორგანიზებაზე.

რეკომენდაციები

- უზრუნველყონ პოლიციელთა სათანადოდ გადამზადება ლგბტ ადამიანთა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეების დასაცავად, დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების ეფექტურად აღსაკვეთად შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებში⁷⁶ განერილი ნორმების შესაბამისად; ამასთან, მეტი ყურადღება დაუთმონ ძალადობის პრევენციაზე მიმართულ ღონისძიებებს.
- უზრუნველყონ ეფექტიანი და დროული რეაგირება ძალადობის ფაქტებზე;
- შეიმუშაონ და განახორციელონ ინფორმირებულობის ამაღლების პროგრამა პოლიციელთათვის ლგბტ საკითხებზე, რათა მსგავსი აქციების შემთხვევაში პოლიცია მოქმედებდეს პრინციპულად და პატივისცემით ლგბტ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ;

74 ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნა 17 მაისზე. ნეტგაზეთი. 23.07.19. <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/21817/>

75 სახალხო დამცველის ანგარიში. 2014.

76 Guidelines on Freedom of Peaceful Assembly: Second Edition. OSCE/Odihr.

- ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯაროდ უნდა დაგმონ გამოსაბრის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების არაკანონიერი ჩარევის შემთხვევები, რათა არ მოხდეს ძალადობის ფაქტების ნახალისება.

განსხვავებული აღმოჩნდა 2015 წლის 17 მაისი, როდესაც თბილისში დაგეგმილი სამი სხვადასხვა აქცია ჩატარდა აიდაშოს დღის აღსანიშნავად. ამ ეტაპზე, სახელმწიფომ გამოიჩინა პოლიტიკური ნება და სამივე აქცია მშვიდობიანად დასრულდა.

ქეისები

2012 წლის 17 მაისი

2012 წლის 17 ნოემბერს საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (# 73235/12)

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი იქნა განაცხადი „იდენტობის“ და სხვა 14 პირის მიერ. მომჩივნები აღნიშნავენ, რომ დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ წინააღმდეგ, განხორციელდა კერძო პირების მიერ, რომლის დროსაც პოლიციამ არ დაიცვა 2012 წლის 17 მაისს მშვიდობიანი დემონსტრაციისას მათი უფლებები. მათ განაცხადში აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევას.

„იდენტობამ“, რომელიც შექმნილია ლგბტ პირების უფლებების დასაცავად, დაგეგმა მშვიდობიანი აქციის ჩატარება 2012 წლის 17 მაისს ქალაქის ცენტრში იმისათვის, რომ აღენიშნა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე. თბილისის მერიამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღეს წინასწარი შეტყობინება 17 მაისს დაგეგმილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების შესახებ. მათ ჰქონდათ დეტალური ინფორმაცია აქციის ფორმატისა და მონაწილეთა რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, განმცხადებელმა ორგანიზაციამ მოითხოვა ადეკვატური დაცვა შესაძლო ძალადობისგან.

2012 წლის 17 მაისს, დაახლოებით 13 საათიდან „იდენტობის“ თანამშრომლები და სხვა ლგბტ აქტივისტები - ოცდაათ ადამიანამდე - შეიკრიბნენ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ხელში ეჭირათ ბანერები - „მე ვარ გეი“, „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი“, „სიყვარული არის სიყვარული“ და „მიიღეთ ფერადი“, ასევე დროშები და ქოლგები ცისარტყელის ფერებში. თბილისის საკონცერტო დარბაზთან ახლოს წარმოდგენილი იყო საპატრულო პოლიცია, როგორც ეს იყო წინასწარ შეთანხმებული. დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე საკონცერტო დარბაზის ტერიტორიაზე მივიდნენ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები - „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ და „წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ძმობა“, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ უფლება არ აქვთ ჩაატარონ ასეთი დემონსტრაცია და ხელი შეუწყონ „მანკიერებას“, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ ზნეობრივ ღრებულებებს და ქართულ ტრადიციებს.

რუსთაველის გამზირზე, მსვლელობისას, დემონსტრანტებს დახვდათ ასზე მეტი კონტრდემონსტრანტი, რომლებიც იყვნენ განსაკუთრებით აგრესიულები. მათ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და ალყა შემოარტყეს მსვლელობას ისე, რომ შეუძლებელი გახდა სიარული. დემონსტრანტებმა პოლიციას სთხოვეს დახმარება, თუმცა ისინი თავდაპირველად არ ჩაერივნენ და მოგვანებით სცადეს დახმარება. შედეგად, კონტრდემონსტრანტების მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ინფორმაციით ამ საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის ორ საქმეზე დაიწყო გამოძიება - 2012 წლის 19 მაისს და 24

ოქტომბერს, გარდა ამისა ორ განხილვებელს დაზარალებულის სტატუსი არ აქვს.

მომჩივნები ევროსაასამართლოსადმი წარდგენილ განაცხადში აღნიშნავენ, რომ პოლიციამ ვერ შეძლო შესაბამისი ზომების მიღება, რომ მოეხდინა აგრესიის პრევენცია, რომელიც მოტივირებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ვერ ჩატარდა მშვიდობიანი დემონსტრაცია უსაფრთხოდ.

სასამართლომ ევროკონვენციის მე-11 მუხლზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ „ჰარმონიული ურთიერთქმედება იმ პირებისა და ჯგუფებისა, რომლებსაც აქვთ მრავალფეროვანი იდენტობა, აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სოციალური ინტეგრაცია“. ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლურალიზმს და შემწყნარებლობას. ამ კონტექსტში დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები უნდა დაექვემდებაროს ჯგუფს, დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობის შეხედულებები უნდა იყოს ყოველთვის უპირატესი: აუცილებელია ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან და სათანადო მოპყრობას უმცირესობების მიმართ, რომლის დროსაც გამოირიცხებულია რამე სახის შეურაცხყოფა. ამ ღირებულებების დასაცავად სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას, მოიცავს საკითხებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერული იდენტობის შესახებ.

მათ შორის, სასამართლო აცხადებს, რომ საქართველოს სახელმწიფომ არ დაიცვა მონაწილეთა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, აქციის მონაწილეები არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი გახდა და ადეკვატურად არ გამოიძია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.

სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომით სახელმწიფო ეჭვქვეშ აყენებს საკუთარ ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას, რაც საქართველოს მიმართ ნდობას ადაბლებს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქართველომ 13 გამცხადებელს, რომელიც აღნიშნულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა, თითოეულს – 2 000 - 4 000 ევრო უნდა გადაუხადოს, ხოლო ორგანიზაცია „იდენტობას“ 1 500 ევრო მორალური ზიანისთვის.

სასამართლომ დაადგინა, რომ უმრავლესობის მიერ დაირღვა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა), მე-14 მუხლთან ერთად (დისკრიმინაციის აკრძალვა), ასევე, დაირღვა მე-11 მუხლი (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება) მეთოთხმეტე მუხლთან მიმართებაში.

2013 წლის 17 მაისი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2013 წლის 21 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია, რომლის თანახმად, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა 17 მაისს კოლმეურნეობის მოედანზე მომხდარი ინციდენტის მონაწილე ოთხი პირი დააკავეს (გიგა კ, ზურაბ ჩ, ამირან მ. და ბექა ფ.). დაკავების საფუძველი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისადმი დაუმორჩილებლობას და წვრილმან ხულიგნობას.

აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, იმ დროისთვის, სანქციის სახით გათვალისწინებული იყო ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე ვადით⁷⁷.

ამის შემდგომ, 2013 წლის 21 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა ზემოაღნიშნული საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის

⁷⁷ აღსანიშნავია, რომ ამჟამად ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 15 დღეა, აღნიშნული ცვლილება კანონმდებლობაში 2014 წელს შევიდა

ფაქტებზე. შედეგად, სასამართლომ სამართალდამრღვევებად ცნო ზურაბ ჩხეიძე, გიგა კუჭუხიძე, ბექა ფირანიშვილი და ამირან მანთაშაშვილი. თითოეულ სამართალდამრღვევს წვრილმანი ხულიგნობის⁷⁸ ჩადენისთვის დაეკისრათ მაქსიმალური ჯარიმის გადახდა 100 ლარის ოდენობით.

ღია სასამართლო სხდომაზე, დაკავებულებმა, გარდა ზურაბ ჩხეიძისა, აღიარეს და მოინანიეს მათ მიერ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტი. ასევე, აღნიშნეს რომ 17 მაისის აქციაზე თავად დაზარალდნენ, კერძოდ ყველა მათგანმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო.

ზურაბ ჩხეიძის, გიგა კუჭუხიძისა და ბექა ფირანიშვილის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის განხორციელების ფაქტი არ დადასტურდა და სასამართლომ შესაბამისი მუხლით მიმდინარე ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ პირთა მიმართ სამართალდარღვევის ოქმი არ იყო შედგენილი სრულყოფილად. დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სასამართლომ მიმართა სამართალდამცავ ორგანოს წამომადგენლებს. მათ დაევალოთ, რომ წინადადების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული დარღვევების მიმართ გატარებულ შესაბამის ღონისძიებათა შესახებ სასამართლოსთვის შეეტყობინებინათ.⁷⁹

ადმინისტრაციული საქმე შსს-ს წინააღმდეგ

2014 წლის 20 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ და 12 პირის მიერ შეტანილი იქნა ადმინისტრაციული სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა მორალური ზიანის ანაზღაურება. სარჩელი, რომელიც წარმოებაშია მიღებული, ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას, კერძოდ 2013 წლის 17 მაისის აქციაზე შსს-მ ვერ უზრუნველყო აქციის გამართვა და მონაწილეთა დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ეთანხმება მოსარჩელეთა პოზიციას და მიიჩნევს, რომ თავად პოლიციელები დაზარალდნენ 2013 წლის 17 მაისს. საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია 2015 წლის სექტემბერში.

სისხლის სამართლის საქმე

2013 წლის 17 მაისს აღ. პუშკინის სახელობის სკვერში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ და მათ მხარდამჭერთა აქციაზე განვითარებულ მოვლენებზე გამოძიება დაასრულა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძვ. თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებამ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის I ნაწილით⁸⁰, რაც გულისხმობს შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების შელახვას.

2013 წლის 10 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმე განსახილველად გადაიგზავნა. ბრალდებულად ცნობილია ხუთი პირი - თამაზ ბიჩინაშვილი (ყველა წმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური არქიმანდრიტი ანთიმოზი); ირაკლი ბასილაია (მცხეთის წმ. იოანეს სახელობის დედათა მონასტრის

78 საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი

79 იხ. <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=523>

80 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 161. შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა. პ.1. შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. პ.2. იგივე ქმედება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ილუმენი იოანე); ტიტალ დავრიშიანი, ბექა სალუქვაძე და გიორგი ბასიაშვილი.

2013 წლის 1 აგვისტოს წინასასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი ბრალდებულის თამაზ ბიჩინაშვილის შუამდგომლობა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2013 წლის 18 დეკემბერს. 2015 წლის 14 ივლისს სასამართლოში დაიკითხნენ ბოლო მონმეები, რითაც მტკიცებულებათა მოკვლევის ეტაპი დასრულდა. სასამართლო სხდომა, რომელზეც განაჩენი გამოცხადდება, ჩანიშნულია 2015 წლის 8 სექტემბრისთვის.

WISG v. Georgia (# 73204/13)

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

2013 წლის 17 ნოემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში შეტანილი იქნა პირველადი განაცხადი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ და 15 ფიზიკური პირის სახელით. საქმე ეხება 2013 წლის 17 მაისს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ მომჩივნები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის აღიარებული უფლებები: წამების აკრძალვა (ევროკონვენციის მე-3 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მე-8 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი), შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-10 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი), უფლებათა ბოროტი გამოყენების აკრძალვა (მე-17 მუხლი).

ამავე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესულია კიდევ ერთი საქმე **Identoba and Others (20 individuals) V. Georgia (# 74959/13)**

V. დასაქმება

საერთაშორისო სტანდარტები და მემკვიდრეობები

1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

პაქტის მე-2 მუხლის თანახმად, თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო⁸¹. ამრიგად, აღნიშნული მუხლის თანახმად, პაქტით აღიარებული უფლებებით სარგებლობა შესაძლებელი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე. იმავე დოკუმენტის მე-8 მუხლში, რომელიც იცავს შრომით უფლებებს, ნათქვამია, რომ არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში და არავის არ უნდა დააძალონ იძულებითი თუ სავალდებულო შრომა.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ პაქტით, „იკრძალება ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმებასთან ხელმისაწვდომობის და სამუშაო ადგილის შენარჩუნებისას... სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.“⁸² აღნიშნული პრინციპი ვრცელდება შრომითი უფლებების ყველა ასპექტზე, ამგვარად, მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ უშუალო ვალდებულება, უზრუნველყონ შრომითი უფლებით სარგებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ შრომის უფლებას და თავი შეიკავონ ისეთი ზომების მიღებისაგან, რომელიც შეზღუდავს ან ხელს შეუშლის შრომის უფლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით, ისეთი პირებისა და ჯგუფებისათვის, რომლებიც მარგინალიზებულნი არიან.⁸³ ნებისმიერი დისკრიმინაცია შრომის უფლებების განხორციელებისას წარმოადგენს ამ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.⁸⁴

ევროპის სოციალური ქარტია საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2005 წლის 1 ოქტომბრიდან (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – ის დადგენილებით). ქარტიის მე-20 მუხლი აღიარებს დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლებას, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე.

შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, გაატარონ სათანადო ზომები შემდეგ სფეროებში:

- ა) დასაქმების ხელმისაწვდომობა, სამსახურიდან დათხოვნისაგან დაცვა და პროფესიული რეინტეგრაცია;
- ბ) პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრა, პროფესიული მომზადება, გადამზადება და რეაბილიტაცია;
- გ) დასაქმების ვადები და სამუშაო პირობები, ანაზღაურების ჩათვლით;
- დ) სამსახურებრივი წინსვლა, დაწინაურების ჩათვლით.

81 საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მუხლი 2. პ.2.

82 ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების კომიტეტი, ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები N18 (უფლება შრომაზე), პ.12ბ(ი)

83 იქვე. პ. 23.

84 იქვე. პ.33

ადგილობრივი სამართლებრივი გარემო

შრომის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.⁸⁵ ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციით დაცული უფლების შინაარსი გულისხმობს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის უფლებას, არამედ, უფლებას განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისა და ისეთი რეგულაციებისაგან, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებს ან სამსახურიდან პირის უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.⁸⁶ საჯარო სამსახურებში შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, კერძო სფეროში კი - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“.

დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა მოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით: „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო“. აღნიშნულ ნორმაში დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლად არ არის მითითებული გენდერული იდენტობა, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს, რომ გენდერული იდენტობის მიხედვით დისკრიმინაციას შრომის კოდექსი არ ფარავს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას გენდერული იდენტობის საფუძველზე. ასეთ დროს მითითება შეიძლება როგორც საქართველოს კონსტიტუციაზე, ისე - „საქართველოს შრომის კოდექსსა“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონზე“.

შრომის კოდექსის ძალიან მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამსაქმებლის ინიციატივით, დამსაქმებელს ავალდებულებს, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში 7 დღის ვადაში წერილობით დაუსაბუთოს გათავისუფლების საფუძველი.⁸⁷ აღნიშნული უფლებით სარგებლობა ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ დისკრიმინაციის საფუძველზე გათავისუფლებულ ადამიანს შეეძლოს საკუთარი უფლებების დაცვის რეალიზება, როგორც სახალხო დამცველისთვის მიმართვის გზით, ისე სასამართლოში დავის წარმოების შემთხვევაში.

არსებული პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე, დასაქმების სფეროში დისკრიმინაცია აკრძალულია სხვადასხვა, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე, შრომითი დავები აღნიშნული საფუძველით არ მიმდინარეობს. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფმა“ გამოითხოვა ინფორმაცია ყველა ინსტანციის სასამართლოდან, ჰქონდა თუ არა ადგილი შრომითი დავების განხილვას საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით. როგორც მიღებული პასუხები გვიჩვენებს, ასეთი საფუძველით სასამართლოებს შრომითი დავები ან არ განუხილავთ ან ასეთი სახის სტატისტიკას სასამართლოები არ აწარმოებენ⁸⁸.

⁸⁵ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II.3.19.

⁸⁷ საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁸⁸ იხ. დანართი N1.

ოფიციალური სტატისტიკისაგან განსხვავებულ სურათს იძლევა როგორც WISG-ის მიერ ჩატარებული დისკრიმინაციის კვლევები⁸⁹ და შრომითი ურთიერთობების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების ანგარიშები⁹⁰, ისე - სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული პერიოდული ანგარიშები მიმდინარე საქმეების შესახებ. განცხადებების დიდ ნაწილში დისკრიმინაციის სფეროდ, სწორედ შრომითი საქმიანობაა მითითებული⁹¹.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოდან მიღებული მონაცემების ანალიზის მიხედვით, საქართველოში არ არსებობს დასაქმების სფეროში სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის არცერთი ოფიციალურად დაფიქსირებული ფაქტი, ეს სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობების ის სფეროა, სადაც ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად ეჯახებიან დისკრიმინაციას, როგორც სამსახურის დაწყების ეტაპზე, ისე - მუშაობის დროს. შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებით დაუცველი არიან ტრანსგენდერი ადამიანები. გენდერის ლეგალური აღიარების დამკვიდრებული პრაქტიკის ნაკლებობით, მათ უმეტესობას არ გააჩნია თავიანთი გენდერული თვითგამოხატვის შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამის გამო ისინი არაოფიციალურ დასაქმებას და ცუდ სამუშაო პირობებს თანხმდებიან. მათი ნაწილი (უმეტესწილად ტრანსგენდერი ქალები), შესაძლოა, ჩაერთონ კომერციულ სექსში, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს და დაუცველს ხდის ძალადობის მიმართ⁹².

ლგბტ ჯგუფის წევრებთან WISG-ის მიერ სამართლებრივი ტრენინგების ციკლის ჩატარებისას გამოიკვეთა, რომ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციისას, ჯგუფის წევრები იმიტომ არ მიმართავენ სასამართლოს ან სახალხო დამცველს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მათ არ იციან, სამართლებრივი კუთხით დაცვის რა მექანიზმები აქვთ. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, მათ იმგვარ სამუშაო გარემოს უქმნიან დასაქმების ადგილზე, რომ ისინი „ნებაყოფლობით“ ტოვებენ სამსახურს. ხშირად მათ არ სურთ, იმუშაონ ისეთ ადგილას, სადაც მათი ორიენტაციის შესახებ ცნობილია და თანამშრომლების მხრიდან ადგილი აქვს ცინიკურ დამოკიდებულებას, დაცინვას, სიტყვიერ შეურაცხყოფას, იზოლაციასა და ფსიქიკური ძალადობის სხვა გამოვლინებებს.

რეკომენდაციები

- შრომითი ურთიერთობების სფეროში ლგბტ პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება საკანონმდებლო გარემოსა და რეალურ მდგომარეობას შორის არსებული განსხვავების შემცირების მიზნით;

⁸⁹ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. ვიზგ. თბილისი. 2014; ე. ალდგომელაშვილი. ლგბ პირთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ვიზგ. თბილისი. 2015; 6. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. ვიზგ. თბილისი. 2014;

⁹⁰ მაგ.იხ. 6. გოჩიაშვილი. საჭიროებების კვლევა - უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში. საია. თბილისი. 2014.

⁹¹ <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2553.pdf>

⁹² 6. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2014

ქეისების ნიმუშები

ქეისი #W60 ლესბოსელი ქალი იძულებული გახდა, სამსახური დაეტოვებინა ლესბოსელი, 20 წლის,

2014 წლის 29 სექტემბერს, თბილისში, დაზარალებული იძულებული გახდა თავისი ნებით წამოსულიყო თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მდებარე სამსახურიდან. სამსახურიდან წამოსვლამდე ერთი თვის განმავლობაში თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დაზარალებულის დისკრიმინაციას (სიტყვიერ შეურაცხყოფას, დაცინვას, იზოლაციას და ა.შ.), რაც დაიწყო მას შემდეგ, რაც თანამშრომლებმა გაიგეს, რომ დაზარალებული არის ლესბოსელი. დაზარალებულმა პირმა არ ისურვა აღნიშნულის შესახებ მიემართა შესაბამისი ორგანოებისთვის. მიუხედავად კონფიდენციალობის მრავალგზის შეთავაზებისა, დაზარალებულს შეეშინდა, რომ ასეთი მიმართვა თუ განხორციელდებოდა თუნდაც სახალხო დამცველის ოფისში, ამის შესახებ აუცილებლად გაიგებდნენ მის ყოფილ სამსახურში და არ უნდოდა პრობლემების შექმნა.

ქეისი #W58 ტრანსგენდერ მამაკაცს პრობლემები ექმნება დასაქმებისას პირადობაში მითითებულ სქესსა და გენდერულ თვითგამოხატვასთან დაკავშირებული შეუსაბამობის გამო ტრანსგენდერი მამაკაცი, 35 წლის

2014 წლის ზაფხულში, გუნდმა, რომელთან ერთადაც რესპონდენტი დიდი ხნის განმავლობაში მღეროდა (ტრანზიციაზე), უარი უთხრა საგასტროლო ტურნეში მონაწილეობაზე. გამოუცხადეს, რომ მისი ყოფნა სცენაზე, გუნდის წევრებს შორის, უჩვეულო და მიუღებელი იქნებოდა მაყურებლისთვის, ამიტომ ჯობდა, რომ არ წასულიყო. გენდერულ იდენტობასა და საბუთებში მითითებულ სქესს შორის შეუსაბამობის გამო, მას ორ-ნახევარი წლის წინ უარი უთხრეს თბილისის ერთ-ერთ ბარში დასაქმებაზე, მას შემდეგ, რაც მას უკვე გავლილი ჰქონდა გასაუბრება. არც ერთ დაზარალებულს არ განუცხადებია დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

VI. დისკრიმინაცია განათლების სფეროში

საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები

განათლების უფლება აღიარებულია საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. მე-13 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართული იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის მეორე მუხლი იცავს განათლების უფლებას. დოკუმენტის თანახმად, არავის შეიძლება, ეთქვას უარი განათლების უფლებაზე, ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამის განათლება და სწავლება.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისკრიმინაცია მნიშვნელოვან ბარიერად შეიძლება იქცეს ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ლგბტი ჯგუფს მიეკუთვნებიან. გარდა ამისა, ისინი ხშირად ხდებიან ბულინგისა და ძალადობის მსხვერპლი როგორც თანატოლების, ისე მასწავლებელთა მხრიდან.⁹³ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი და ბავშვთა უფლებების კომიტეტი შემოფოთებას გამოთქვამენ სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური გარემოს გამო და მოუწოდებენ სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები ლგბტ მოზარდების დასაცავად ნეგატიური დამოკიდებულებისა და ბულინგისაგან⁹⁴.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია - CM/Rec2010(5) - წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ განათლების უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის უნდა იქნას მიღებული ზომები ჩაგვრისა და სოციალური გარიყვისაგან დასაცავად; ეს მოიცავს თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, ქცევის კოდექსებსა და თანამშრომელთა ტრენინგების პროგრამებს, ისევე, როგორც სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებისათვის ზომების მიღებას, სასკოლო პროგრამებსა და საგანმანათლებლო მასალებში ობიექტური ინფორმაციის შეტანას, ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სპეციალური ინფორმაციის მინოდებასა და მხარდაჭერას, ტრანსგენდერი სტუდენტების სპეციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზომების მიღებას⁹⁵.

93 მაგ. იხ. E/CN.4/2001/52, პ.75, და E/CN.4/2006/45, პ.113.

94 მაგ. იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები მექსიკასთან მიმართებაში (CCPR/C/ MEX/CO/5), პ.21; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები პოლონეთთან მიმართებაში (E/C.12/POL/CO/5), პ.12,13; ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები №3 (CRC/GC/2003/3), პ.8, და №13 CRC/C/GC/13), პ. 60 და 72გ; ასევე კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები ახალ ზელანდიასთან მიმართებაში (CRC/C/NZL/CO/3-4), პ.25; სლოვაკიასთან მიმართებაში (CRC/C/SVK/CO/2), პ.27,28; და მალაიზიასთან მიმართებაში (CRC/C/MYS/CO/1), პ.31.

95 ა. ნაცვლიშვილი, ე. აღდგომელაშვილი. CM/Rec2010(5) რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგი საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.

ადგილობრივი სამართლებრივი გარემო

განათლების მიღების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით⁹⁶. კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას განათლების სფეროში და აღიარებს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას როგორც დანაწილებით და საშუალო, ასევე - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.⁹⁷ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ასევე ავალდებულებს სასწავლო ინსტიტუციებს, უზრუნველყონ თანასწორი მოპყრობა „განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.“⁹⁸ კანონი ზოგადი განათლების შესახებ ასევე იცავს ყველა მოსწავლეს არასათანადო მოპყრობისა⁹⁹ და ძალადობისგან.¹⁰⁰ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება, ასევე ავალდებულებს სკოლას, „დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“¹⁰¹.

განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი აქცენტს აკეთებს თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული განათლებისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარის გამომუშავების მნიშვნელობაზე მოზარდებში: „დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“¹⁰².

მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული განათლების მოთხოვნები წაყენებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებსა და სახელმძღვანელოს ლიცენზიის მოპოვების მსურველებს: „სახელმძღვანელო არ შეფასდება და ეთიშება გრიფირებას იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რამე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, სქესი, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვა)“¹⁰³.

არსებული პრაქტიკა

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემაში დღეს არსებული რეალური მდგომარეობა როგორც გარემოს, ისე სწავლების პროცესისა და ცოდნის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება საკანონმდებლოსაგან. განსაკუთრებით, როცა საქმე სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ლგბტ მოზარდებს ეხება.

96 „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 35.1.

97 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დანაწილებით და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. (მუხლი 9.1.), დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 13.) თანაბარი ხელმისაწვდომობა (მუხლი 3.2.ა)

98 საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. მუხლი 16(1)დ.

99 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. „მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.“ (მუხლი 9.8)

100 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. მუხლი 20. (1). „დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

101 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. მუხლი 13. (6)

102 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N 84 დადგენილებით.

103 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი. Art. 8. Para.10 (b)

დღემდე არ ჩატარებულა სასკოლო სახელმძღვანელოების დეტალური ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გვემსჯელა, რამდენად თავისუფალია სასწავლო მასალები ჰომოფობიური სტერეოტიპებისაგან, მოიცავს თუ არა ადეკვატურ ინფორმაციას სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ და ა.შ. სახელმწიფო ანგარიშებში მითითებულია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები თავისუფალია სტერეოტიპებისაგან და გენდერულად სენსიტიურია¹⁰⁴. თუმცა, კვლევები სხვა სურათს აჩვენებს: „სახელმძღვანელოების უმრავლესობა ავითარებენ მოსწავლეებში სტერეოტიპებს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ტერიტორიული განსახლების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული თვალსაზრისით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობა არ ასახავს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული განსახლების მიხედვით და დაწერილი ეთნოცენტრული პოზიციებიდან და შესაბამისად ხელს არ უწყობს მოსწავლეთა თანასწორობას და მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობისა და ტოლერანტული დამოკიდებულებების განვითარებას.“¹⁰⁵

კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ სახელმძღვანელოების უმეტესობა, რომლითაც უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სტუდენტები იღებენ განათლებას, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და არ ასახავს ბოლო წლებში დაგროვებული კლინიკური გამოცდილებისა თუ კვლევების შედეგებსა და საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკებს. მათი უმეტესობა პირდაპირ ახდენს ჰომოსექსუალობის პათოლოგიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორი ICD-10, რომელშიც ჰომოსექსუალობა ამოღებულია დაავადებათა ჩამონათვალიდან, სახელმძღვანელოების ნაწილში ჰომოსექსუალობა განიხილება, როგორც ქცევითი დარღვევა¹⁰⁶. კლასიფიკატორის ქართულენოვან გამოცემებში პრობლემურად რჩება სქესისა და გენდერის ტერმინოლოგიური აღრევებიც, რაც საკვანძო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაციის პროცესში.¹⁰⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არ მოქმედებს სპეციალური პროგრამები (მაგ. ცნობიერების ამაღლების, ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და სხვ), რომლებიც მიმართული იქნებოდა ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

დღეისათვის, „სკოლებსა და უნივერსიტეტებში ლგბტ პირების მიმართ არსებული დამოკიდებულება ასახავს საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებს და იმ ტრადიციული სტიგმების, ტაბუებისა და ფასეულობების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს.“¹⁰⁸ ბულინგი, შევიწროება და სოციალური გარიყვა, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე, დღემდე ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება განათლების სფეროში.

104 „The school education material is age and gender sensitive, in no way promoting the negative gender stereotypes in school textbooks at the primary school level. The Ministry of Education and Science is involved in the major school textbook reform currently, ensuring the education based on the principle of gender equality.“. Consideration of reports submitted by States parties under article 18 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women Combined fourth and fifth periodic reports of States parties Georgia. CEDAW/C/GE0/4-5. Para.57

105 ს. ტაბაძე, ნ. გიორგაძე. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე. OCIIIF. თბილისი. 2013.

106 მაგალითისთვის ასევე შეგიძლიათ იხ. რეზიდენტურის პროგრამა პედიატრიაში. მუხლი 3. მოდული 3. განვითარებისა და ქცევის პედიატრია. პ) „სექსუალური ქცევის/სქესის იდენტიფიკაციის დარღვევები: ონანიზმი, ტრანსსექსუალიზმი, ტრანსვესტიზმი, ჰომოსექსუალიზმი.“

107 მაგ. „gender identity disorder“ (F64) ნათარგმნია, როგორც „სქესობრივი იდენტიფიკაციის დარღვევები“ (თ. სილაგაძე, ლ. მენთემაშვილი. ფსიქიკურ დაავადებათა დიაგნოსტიკა ICD-10-ის კრიტერიუმების მიხედვით (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი. 2009). „სქესობრივი იდენტურობის აშლილობა“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიატრიის ლექსიკონი. საქართველოს ფსიქიატრია საზოგადოება. თბილისი. 2005); კიდევ ერთ სახელმძღვანელოში, რომელიც 2013 წელს გამოიცა ქართულ ენაზე (ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. მეხუთე გამოცემა), ტრანსსექსუალური საკითხები გაერთიანებულია „გენდერული იდენტობის ანომალიების“ ქვეთავში (მ. გელდერი, პ.პარისონი, ფ.ტუენი. ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. აღნიშნული სახელმძღვანელო გამოცემულია 2006 წელს და ეყრდნობა DSM-IV-ს.). გამოწვევის წარმოადგენს მ. ჭაჭანიძის ნაშრომი კლინიკურ სექსუოლოგიაში (მ. ჭაჭანიძე. კლინიკური სექსუოლოგიის პროპედევტიკა. თბილისი. 2014), რომელიც არათუ მკაფიოდ ახდენს როგორც სქესის და გენდერის გამოიყენება ერთმანეთისგან, ასევე აღწერს ორივე მათგანს და ეხება ტრანსსექსუალური საკითხებსაც.

108 კვლევა ჰომოფობიის, ტრანსფობიის და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ. სოციოლოგიური ანგარიში: საქართველო. COWI. 2010. პარაგრაფი .67. იხ: http://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaSociological_E.pdf

CCIIIR -ის მიერ 2013 და 2014 წლებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევას საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურს¹⁰⁹ და სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით¹¹⁰, ნათლად აჩვენებს, რამდენად ძლიერია სტერეოტიპები და ჰომოფობიური განწყობები პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დებულებას: „ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა, თანასწორი და თავისუფალია“ - კვლევაში მონაწილე მასწავლებლების 81,5% და სტუდენტების 78,6% სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება, პედაგოგთა 47% და სტუდენტების 40% თვლის, რომ „განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება უნდა იყოს“. პედაგოგების 74,9% და სტუდენტების 72,9% სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება დებულებას, რომ „განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნისა და საზოგადოებისათვის“.

კიდევ ერთი კვლევა¹¹¹, რომელიც მიზნად ისახავდა მასწავლებლების ცოდნის, დამოკიდებულებისა და მზაობის შესწავლას გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში, აჩვენებს, რომ პედაგოგთა ინფორმირებულობის დონე ლგბტ საკითხებზე უკიდურესად დაბალია. ისინი მიიჩნევენ, რომ ზიზილი და ძალადობა „ასეთი ადამიანებისადმი“ გაუმართლებელია, რადგან ჰომოსექსუალობა „გადახრია, ანომალიაა“ და „არ შეიძლება ავადმყოფის დაჩაგვრა“. ამავდროულად, კვლევამ აჩვენა, რომ გარიყვასა და მარგინალიზაციას, რისი მსხვერპლიც ხშირად ხდებიან ლგბტ მოზარდები, მასწავლებლები ბუღინგის გამოვლენად არ მიიჩნევენ.¹¹²

პედაგოგთა მხრიდან, ამგვარი დამოკიდებულების ფონზე გასაკვირი არაა, რომ WISG-ის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქამინგ აუთის თვალსაზრისით, ჯგუფი, რომელსაც რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად ენდობიან და ნაკლებად არიან გასასწავლი, პედაგოგები/ლექტორები აღმოჩნდნენ (11%)¹¹³. მეორე კვლევაში, რომელიც 2012 წელს ჩატარდა, კვლევის ყველა მონაწილემ, რომელიც პირველ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა (16-18 წელი), აღნიშნა, რომ ბოლო 2 წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა ბუღინგის მსხვერპლი სკოლაში.¹¹⁴

რეკომენდაციები

- ჯანდაცვისა და განათლების სამინისტრომ იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მასტიგმატიზებელ/დისკრიმინაციულ განსაზღვრებებს;
- განათლების სამინისტრომ, რელევანტურ სახელმწიფო სააგენტოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, შეიმუშაოს პროგრამები განათლების სისტემაში ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად და სკოლებში ბუღინგის დასაძლევად, სასკოლო კურიკულუმში სექსუალური

109 ს. ტაბატაძე, ნ. გიორგაძე. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე. CCIIIR. თბილისი. 2013.

110 ს. ტაბატაძე, ნ. გიორგაძე. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით. CCIIIR. თბილისი. 2014.

111 თ. ისაკაძე, ნ. გვიანიშვილი. „მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ. ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფი. თბილისი. 2014

112 „მოსწავლეებში გენდერული არაკონფორმულობის შემწნევის შემთხვევაში მასწავლებლები თვლიან, რომ ისინი მოსწავლეს უნდა გაესაუბრონ და რჩევა მისცენ, რომ ქცევა შეცვალოს და ფსიქოლოგს დაუკავშირდეს. ისინი თვლიან, რომ ფსიქოლოგმა მას დიაგნოზი უნდა დაუსვას ჰომოსექსუალია, თუ არა. თუკი „დიაგნოზი“ უკვე დასმული აქვს, მაშინ მასწავლებელმა უნდა მოუწოდოს კლასს, რომ არ დასცინოს ამ ბავშვს და ცუდად არ მოექცეს.“ Ibid.

113 ე. აღდგომელაშვილი. ლგბტ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. WISG. თბილისი. 2014.

114 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012.

ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვის, პედაგოგიური პერსონალისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებისა და ლგბტ მოსწავლეებისათვის შესაფერისი ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფის გზით;

- განათლების სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით კი, ლგბტ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ჩაატაროს სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი იმის დასადგენად, თუ რამდენად ახდენენ ისინი ტოლერანტობის იდეის გავრცელებას და ხომ არ უწყობენ ხელს მოსწავლეებში ჰომოფობიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ქეისის ნიმუში

ქეისი #W38 გეი მოზარდი ბულინგის მსხვერპლი ხდება სკოლაში¹¹⁵

მამაკაცი, ჰომოსექსუალი, ასაკობრივი ჯგუფი (16-18).

ამონარიდი ინტერვიუდან: „სკოლაში ხშირად დამცინიან ჩემი მანერების გამო. ხშირად მოუძახებიან ჩემთვის „პიდარასტო“; შეუგინებიათ... დამცინიან - ხან ჩანთას შემოღებავენ, ხან სკამს გამომიწვენენ... შარშან ზამთარში, სკოლიდან რომ გამოვდიოდი, ჩემმა სკოლელებმა დამიძახეს და „პადიეზდში“ შემეყვანეს. დამცინავად მელაპარაკებოდნენ, ხელით მეხებოდნენ. მერე ჩანთა გადამიგდეს. ერთ-ერთმა ნიხლიც ამომარტყა. მერე შემეშვნენ... სკოლის დერეფანში, შესვენების დროს, რამდენიმე ბიჭმა დაცინვა დამიწყო. სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. როდესაც შევეპასუხე, რამდენჯერმე გამარტყეს ხელი სახეში...“

გაზაფხულზე ჩემმა უბნელებმაც გაიგეს, რომ გეი ვარ და მთელ უბანს მოსდეს ჩემი „პედერასტობის“ ამბავი. მთელი უბანი დამცინოდა და ხშირად მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას თუ ერთად მყოფებს შევხვდებოდი. ერთხელ „მარშუტკით“ მოვდიოდი. როცა იმ ადგილს მივუახლოვდი, სადაც ჩემი უბნელები იდგნენ, დამინახეს და ხმამაღლა მომაცხეს „შე პიდარასტო“. თან ცემით დამემუქრნენ...“

ზაფხულში, ჩემი უბნის ბაღში ვიჯექი ჩემს მეგობართან ერთად. ჩემი უბნელები მოვიდნენ და დამიწყეს დაცინვა. ერთ-ერთი ვითომ თვითონაც გეი იყო და მე დამცინოდა მანერებით. მერე ვითომ ჩემს კოცნას ცდილობდა. მე თავიდან ვიშორებდი. ამაზე დანარჩენები იცინოდნენ“.

ქეისი #W42 ბულინგი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე¹¹⁶

აგენდერი, 19 წლის

ამონარიდი ინტერვიუდან: „ეს მოხდა 2012 წლის 17 მაისის შემდეგ ... ჩემი ერთი კლასელი შეესწრო მღვდლების და აქტივისტების შეჯახებას ... ჩვენი მასწავლებელი კი მოგვიყვა ერთ-ერთ ტრანსგენდერზე, რომელიც ცხოვრობდა მის უბანში... ჩემთვის იყო ძალიან დამთრგუნველი [ის მანერა და სიტყვები, რომლითაც მასწავლებელი ამას ყვებოდა]...ხო, გაკვეთილზე მომინია თქმა... ანუ მკითხეს, შენ მართლა ასეთი ხარო და მეთქი კი, კი ასეთი ვარ და გაკვეთილები რო დასრულდა, უკვე ბოლო გაკვეთილზე დაიწყეს, გადმომისხდნენ მთელი კლასელები და ერთი ბჭობა ჰქონდათ ... ანუ, მეუბნებოდნენ, რომ ეს ავადმყოფობაა, ეს ჩვენი მენტალობის პერცეპენა, ქართული ტრადიციების და ასე შემდეგ ... როგორც იციან ხოლმე ... მასწავლებელი არ ჩარეულა. როგორც წესი, ჩვენი მასწავლებლები მაგ საკითხში არ ერევიან ხოლმე ...“

¹¹⁵ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. კვლევის მასალები. Q13(1)

¹¹⁶ ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2014

VII. ზანდაცვა

საერთაშორისო სტანდარტები და მემანიგმები

ჯანმრთელობაზე ადამიანის უფლება მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია აღიარებული. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანისამოსის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად...“ საერთაშორისო სამართლის მთელ სპექტრში, ჯანმრთელობის უფლების ყველაზე უფრო სრული მუხლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტშია მოცემული. ამ პაქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ: „თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე“, ხოლო მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია „ზომები, რომლებიც ... მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის“. გარდა ამისა, ჯანმრთელობის უფლება აღიარებულია ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის ფარგლებშიც. ჯანმრთელობის უფლება დაცულია ადამიანის უფლებების რეგიონულ ხელშეკრულებებში, როგორებიცაა ევროპის გადასინჯული სოციალური ქარტია, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის დამატებითი ოქმი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში. ჯანმრთელობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებების კომისიის მიერ ასევე 1993 წლის ვენის დეკლარაციასა და სამოქმედო პროგრამაში და სხვა ხელშეკრულებებში.¹¹⁷

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა ზოგად მე-14 კომენტარში¹¹⁸ აღნიშნა, რომ პაქტი „კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას... სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე... ჯანდაცვის ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით“. ზოგადი ხასიათის მე-20 კომენტარში, კომიტეტმა მიუთითა, რომ მე-2-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა საფუძვლები ასევე მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასაც.¹¹⁹

სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ჯანდაცვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ხშირად ირღვევა სხვადასხვა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ტრანსგენდერ, ინეტრსექს და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს ეხებათ¹²⁰. ისინი ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას ჯანდაცვის სერვისების მიღების დროს.

აღზილობრივი საკანონმდებლო გარემო

დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით¹²¹, ასახულია როგორც ანტიდისკრიმინაციულ¹²², ისე იმ კანონებსა¹²³ და ეთიკურ სტანდარტებში¹²⁴, რომლებიც არეგულირებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს.

117 საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“. ზოგადი კომენტარი №14 (22-ე სესია, 2000) (UN doc. E/C.12/2000/4) უფლება ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი)

118 საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“. ზოგადი კომენტარი №14. პ.18

119 საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“. ზოგადი კომენტარი №20. პ.32

120 T. Hammarberg, . Human Rights and Gender Identity. CommDH/IssuePaper(2009)2. Council of Europe,

121 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 14

122 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

123 საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 6. პ.1. და მუხლი 40. ; საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. მუხლი 6.

124 საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი: თავი „ექიმი და პაციენტი“, პ.2. ; ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები. თავი 2.1.1 „თანაბარი და სამართლიანი დამოკიდებულება“

სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, ფიგურირებს საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, კერძოდ მის მე-6 მუხლში. საქართველოს კანონი „პაციენტთა უფლებების“ შესახებ, მე-6 მუხლში მოცემული ნორმით ასევე კრძალავს პაციენტთა დისკრიმინაციას რამე ნიშნით: „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია“. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს და მისმა დარღვევამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება, გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2014 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დაწესებული ბლანკეტური აკრძალვა სისხლის დონორობაზე ჰომოსექსუალთათვის, იმ მიზეზით, რომ ისინი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან.¹²⁵

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, როგორც WISG-ის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ჯანდაცვის სფეროში, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში, ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა არსებობაც ლგბტ პირებს არათანასწორ პირობებში აყენებს და შესაძლოა, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევაში აისახოს.

არსებული პრაქტიკა

პაციენტის და დაზღვეული მოქალაქეების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის სამსახური, რომელიც 2012 წლის 1 ივნისს დაფუძნდა. სამსახური ასევე აწესრიგებს ურთიერთობებს სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის. შესაბამისად, სამსახური განიხილავს როგორც ფიზიკური პირების/ მოქალაქეების, ასევე იურიდიული პირების მომართვებს. მედიაციის სამსახურის მონაცემებით, 2012 წლის 4 აპრილიდან 2014 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო რამე სახის დარღვევაზე სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახურისთვის არცერთ პირს არ მიუმართავს¹²⁶. თუმცა, ლგბტ ჯგუფთან ჩატარებული კვლევები და ჩაღრმავებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჯგუფის წევრები მაინც აწყდებიან დისკრიმინაციასა და არასათანადო მოპყრობას სამედიცინო პერსონალის მხრიდან.¹²⁷ გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ჯგუფის წევრები ხშირად თავს არიდებენ ექიმებთან მისვლას და თვითმკურნალობას მიმართავენ, ვინაიდან ეშინიათ სამედიცინო პერსონალის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების.¹²⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალობა ამოღებულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან, ჯანდაცვის სფეროს ცალკეული წარმომადგენლები და არსებული სახელმძღვანელოები ჰომოსექსუალობას განიხილავენ, როგორც პრობლემას, რომელიც სამედიცინო ჩარევას საჭიროებს¹²⁹. მაშინ, როცა სქესის, გენდერისა და გენდერული იდენტობების გამიჯვნა საკვანძო

¹²⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/1/536. ქეისის მოკლე აღწერა მოცემულია თავის ბოლოს.

¹²⁶ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის სამსახურის საპასუხო წერილი N10/95395 (27.11.2014)

¹²⁷ ქეისების ნიმუშები იხ. ბოლოში

¹²⁸ სახალხო დამცველის წარმომადგენელმა საქმე N1335/15, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს დამამცირებლად მოეპყრნენ სამედიცინო დაწესებულებაში. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2353.pdf>

¹²⁹ საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპასუხო წერილი (N.01/27507, თარიღი: 15.05.2012) მითითებული იყო, რომ სამინისტრო გეგმავდა სათანადო ცვლილებების შეტანას პოსტსადიპლომო სასწავლო პროგრამებში, თუმცა, ეს ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

საკითხს წარმოადგენს ტრანსსპეციფიკური საკითხების დეპათოლოგიზაციის პროცესში, კლასიფიკატორის ქართულენოვან გამოცემებსა და სახელმძღვანელოებში დღემდე პრობლემურად რჩება სქესისა და გენდერის ტერმინოლოგიური აღრევები, რაც ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად პრობლემურია გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების არტიკულაცია ჩვენს აკადემიურ სივრცეში.¹³⁰

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო სერვისის მომწოდებელთა ცოდნა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის/ტრანსგენდერობის, ისევე როგორც ინფორმირებულობა ლგბტ ჯგუფის საჭიროებებზე ჯანმრთელობის სფეროში, საკმაოდ მწირია¹³¹. ამგვარი მდგომარეობა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის ხელმისაწვდომობაზე ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთათვის. ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება, რომელიც საქართველოში რეგულირდება როგორც საკანონმდებლო დონეზე¹³², ისე - ქვეყანაში მოქმედი ეთიკური და სამედიცინო სტანდარტებით, ასევე ირღვევა ტრანსგენდერთა შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისები ხელმისაწვდომია საქართველოში (არ იგულისხმება ფინანსური ხელმისაწვდომობა), დღემდე არ არსებობს კლინიკური გაიდლაინი, რომელშიც განერილი იქნებოდა ტრანზიციასთან დაკავშირებული სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებები.¹³³

ამასთან, სქესის კვლავმინიჭებასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურები, მისი მაღალი სოციალური მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის წარმოდგენილი არც ერთ სამართლებრივ აქტში. საქართველოში არსებული სიღარიბისა და უმუშევრობის დონის გათვალისწინებით, ბევრისათვის სქესის კვლავმინიჭებისათვის აუცილებელი პროცედურებისათვის საჭირო ხარჯები შეიძლება, ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყოს.¹³⁴ სხვადასხვა მონაცემებითა და გათვლებით, ტრანზიციის სრული პროცესის ღირებულება მერყეობს 12 000-დან 20 000 აშშ დოლარის ფარგლებში¹³⁵. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა უმეტესობა სერიოზულ პრობლემებს აწყდება დასაქმების სფეროში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მათი გენდერის შეუსაბამო ჩანაწერის არსებობის გამო (რაც, დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ტრანზიციის პროცესის სრულ გავლას ითვალისწინებს) და ხშირად იძულებულია, დათანხმდეს დაბალანაზღაურებად და არაკვალიფიციურ სამუშაოზე, მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურები¹³⁶. ამგვარად, იკრება ერთგვარი მანკიერი წრე, რომლიდან თავის დაღწევაც საკმაოდ ძნელია შესაბამისი რეგულაციების ან სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ზომების გატარების გარეშე.¹³⁷

ლგბტ ჯგუფის საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში არაა გამოკვლეული და შესწავლილი, შესაბამისად, არ აისახება ჯანდაცვის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში¹³⁸.

130 ე. აღდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015

131 გამოკითხვამ აჩვენა, რომ რანდომიზაციის გზით შერჩეულ ჯანდაცვის მუშაკებს (ერთი რესპონდენტის გამოკლებით) უმეტესობა ვერ მიჯნავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას ერთმანეთისაგან. ლგბტ ჯგუფის საჭიროებების კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჩალმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG, 2014

132 „საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამოსამსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება“. კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 5.

133 ე. აღდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015

134 ტრანსგენდერთა საჭიროებების კვლევის მასალები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. „იდენტობა“. 2012

135 იმის გამო, რომ ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურები და რეგისტრაცია ასევე არაა განერილი და არ რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ის ფაქტი, რომ როგორც კონსულტაციების რაოდენობა, ისე პრე და პოსტოპერაციული ჰორმონალური თერაპიის კურსის ხანგრძლივობა, ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურების რაოდენობა დამოკიდებულია ცალკეული ექიმის გადაწყვეტილებაზე, კონკრეტული ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა დამატებით ფაქტორებზე, ძნელია განისაზღვროს პროცედურების ზუსტი ფინანსური ღირებულება.

136 მაგ. 2014 წელს, ჩვენ მიერ გამოკითხულ 14 რესპონდენტიდან ხუთი თვითდასაქმებულია, 4 - უმუშევარი, 5 - სრულ განაკვეთზე დასაქმებული. დასაქმებულთაგან, სამი რესპონდენტის შემოსავალი 300-დან 700 ლარამდეა, ოთხის 700-დან 1000 ლარამდე, ორის 100-დან 300-მდე, ერთის - 500-700 ლარის ფარგლებში მერყეობს, ერთის 100 ლარზე ნაკლებია. ნ. გვიანიშვილი. „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“. WISG. თბილისი. 2014.

137 ე. აღდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015

138 მაგ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაში, სადაც აქცენტი კეთდება სხვადასხვა მონყვლად ჯგუფებზე, არ ითვალისწინებს/არ აღიარებს ლგბტ ჯგუფის, განსაკუთრებით კი ტრანსგენდერ ადამიანთა სოციალურ და ტრანსსპეციფიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.

რეკომენდაციები:

- ჯანდაცვისა და განათლების სამინისტრომ იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მასტიგმატიზებელ/ დისკრიმინაციულ განსაზღვრებებს;
- უზრუნველყოფილი იქნას ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალისთვის კვალიფიკაციის/ რეკვალიფიკაციისა თუ სერტიფიცირების პროგრამებსა და კურიკულუმებში სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ საბაზისო ინფორმაციის ჩართვა; ასევე მეორადი და მესამედი ჯანდაცვის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ტრანსგენდერობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ტრანსსენსიტიური ქცევის კოდექსებისა და პროტოკოლების შემუშავება კლინიკების დონეზე;
- სამედიცინო ტრანზიციის პროცესის რეგულირება ისე, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე და ამის ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა ფარავდეს.
- ტრანსგენდერი, ტრანსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების საჭიროებებზე ორიენტირებული საერთაშორისო კლინიკური გაიდლაინის ადაპტირება და დანერგვა ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- აუცილებელია ლგბტ (განსაკუთრებით ტრანსგენდერი) ადამიანთა სოციალური საჭიროებების შესწავლა და მათი ადეკვატური ასახვა სახელმწიფო გეგმებსა და ჯანდაცვის სტრატეგიებში;

ქეისის ნიმუშები:

ქეისი # W34ა. უარის თქმა სამედიცინო მომსახურებაზე ტრანსგენდერი (MtF), 27 წლის.

ამონარიდი ინტერვიუდან: „ტრანსსექსუალის ცნობის აღება რომ დამჭირდა, კლინიკაში, თავად სპეციალისტები, სექსოლოგი იქნებოდა თუ ფსიქოლოგი, ძალიან კარგი რეაქციებით მხვდებოდა აბსოლუტურად ყველა. მაგრამ, ანალიზებზე რომ მივდიოდი... როგორც კი გაიგებდნენ, რომ ტრანსი ვიყავი, საშინელება ხდებოდა... ანალიზების ნაწილი ჟორდანიას კლინიკაში გავიკეთე. ზოგი ექიმი ნორმალურად შემხვდა, თბილადაც დამელაპარაკა, მაგრამ ზოგადად... ფაქტიურად ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი... შეურაცხყოფების კორიანტელი მომაყენეს... საბოლოო ჯამში რო დავფიქრდი, მთლად შეურაცხყოფაც არ იყო... ძალიან განიცდიდა ის (ერთ-ერთი ექიმი) ადამიანი ამ ყველაფერს.. „ჩემი შვილი რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყო, არ ვიცი რას ვიზამდიო“... და რას იზამდით-მეთქი, ვკითხე: მოკლავდით, სახლიდან გააგდებდით-მეთქი? იქ იყო შეურაცხყოფელი რალაცეებიც, უბრალოდ არ მინდა ახლა აღვნიშნო... ესეთ ცუდ რალაცეებს ჩემი ცხოვრებიდან ყოველთვის ვიღებ, როგორც კომპიუტერში შეგიძლია - ნაგვის ურნაში ვყრი და ვასუფთავებ, რომ არ დავიზაფრო ხოლმე ზედმეტი პრობლემებით....¹³⁹

ქეისი #W34ბ. ჰომოფობიური დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურებისას მამაკაცი, ჰომოსექსუალი, ასაკობრივი ჯგუფი 18-25

2011 წლის იანვარში, ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში ექიმმა, რომელთანაც რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა, უარი უთხრა მომსახურებაზე მას შემდეგ, რაც ერთხელ ვიზიტზე „განსხვავებული“ იმიჯით მივიდა. ამის შემდეგ, ექიმმა აღარ მიიღო, არც ჩატარებული მკურნალობის ფული გამოართვა და აღარ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს¹⁴⁰.

¹³⁹ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. კვლევის მასალები. I.45(2)

¹⁴⁰ ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. კვლევის მასალები. Q.108.

VIII. გენდერის სამართლებრივი ალიარება¹⁴¹

საერთაშორისო სტანდარტები და მექანიზმები

გენდერის სამართლებრივი ალიარება ტრანსგენდერი ადამიანისათვის ხშირ შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. განსხვავება ადამიანის გენდერულ თვითაღქმას/თვითგამოხატვასა და სქესის შესახებ ჩანაწერს შორის ხშირად უზღუდავს ტრანსგენდერ ადამიანებს დასაქმების, განათლების მიღებისა და შეურაცხყოფისა და დამცირების თავიდან არიდების შესაძლებლობებს. სქესის შესახებ ჩანაწერის შეუსაბამობა ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასთან გარდა პირადი დისკომფორტისა, ხშირად ხდება ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის საფუძველი შრომით ურთიერთობებში და იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სადაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენაა საჭირო¹⁴².

გენდერის სამართლებრივი ალიარება ნიშნავს პირის გენდერული იდენტობის ოფიციალურ ალიარებას, საჯარო რეესტრებსა და ძირითად დოკუმენტებში სქესის ჩანაწერისა და სახელების ჩათვლით.¹⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნულ საკითხს ძირითადად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონტექსტში განიხილავს¹⁴⁴. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი დიდი ნუხილის საგნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ტრანსგენდერი ადამიანები გვევლინებიან ერთადერთ ჯგუფად ევროპაში, რომელიც ექვემდებარება სამართლებრივად დადგენილ, სახელმწიფოს მიერ აღსრულებულ სტერილიზაციას. კომისარი ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, გააუქმონ სტერილიზაცია და სხვა სავალდებულო სამედიცინო ჩარევა, როგორც აუცილებელი იურიდიული მოთხოვნა პირის გენდერული იდენტობის ალიარებისათვის.¹⁴⁵ იგივე მიდგომაა ასახული ჯოკიაკარტის მე-3 პრინციპში: „იძულებით არავის არ უნდა უტარდებოდეს სამედიცინო პროცედურები, მათ შორის, ქირურგიული ჩარევის გზით სქესის შეცვლის, სტერილიზაციის, ან ჰორმონული თერაპია, როგორც გენდერული იდენტობის სამართლებრივი ალიარების წინაპირობა“.¹⁴⁶

ევროსაბჭომ თავის რეკომენდაციაში CM Rec 2010(5)¹⁴⁷ გენდერის სამართლებრივი ალიარების სტანდარტად დააწესა „სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი“ პროცედურები. ამასთან, „მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა სქესის იურიდიული ალიარებისთვის; მათ შორის, მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს, რეგულარულად უნდა იქნას გადახდილი არაპუმანურ მოთხოვნათა გაუქმების მიზნით“. წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ, სადაც ეს შესაძლებელია, შესაბამისი ალიარება და ცვლილებები არასახელმწიფო აქტორების მხრიდანაც, ძირითად დოკუმენტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა განათლებისა და მუშაობის დამადასტურებელი საბუთები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი და სხვ. სრულად იზიარებენ

141 ე. ალდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015

142 იხ. ქეისები შრომის სფეროში დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

143 რიჩარდ კოპლერი, ალექს რეჩერი, ჯულია ეპრტი: „გენდერის სამართლებრივი ალიარება ევროპაში“, 2013 წლის დეკემბერი, ორგანიზაცია „ტრანსგენდერი ევროპის“ გამოცემა, გვ. 9.

144 იხ. მაგ. ECtHR, B. v. France, judgment of 25 March 1992, # 13343/87; *Rees v. The United Kingdom*, judgment of 17 October 1986, # 9532/81; Christine Goodwin v. U.K., judgment of 11 July 2002, #28957/95; *X, Y and Z -v- The United Kingdom*; judgment of 22 Apr 1997, # 21830/93;

145 Hammarberg, T. July 2009, „Issue Paper on Human Rights and Gender Identity“, Office of the Commissioner for Human Rights, Council of Europe, Strasbourg, France

146 ჯოკიაკარტის პრინციპები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების გამოყენების პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში. თარგმანი. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“. თბილისი, 2012.

147 მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

ამ პოზიციას.¹⁴⁸ იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკას დაუშვებლად მიიჩნევს მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია (WMA) და IFHHRO – ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია. ეს უკანასკნელი ტრანსგენდერ ადამიანებზე სპეციფიკურ აქცენტსაც კი აკეთებს.^{149, 150}

ალბილობრივი სამართლებრივი გარემო

საქართველოში აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების“ შესახებ 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ სქესის შეცვლა წარმოადგენს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის ერთ-ერთ საფუძველს. ამასთან, კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება სქესის შეცვლაში. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განმარტებით:

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტით დადგენილი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, პირის მიერ სქესის შეცვლის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის საფუძველზე. სქესის აღმნიშვნელ გრაფას შეიცავს დაბადების, მამობის დადგენის და გარდაცვალების აქტის ჩანაწერი. შესაბამისად, პირის მიერ სქესის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაბამის ცვლილებას შეიტანს პირის მიმართ შედგენილ ზემოხსენებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში, სახელის და/ან გვარის შეცვლის შემთხვევაში - აღნიშნული პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ყველა ჩანაწერში.¹⁵¹

თავის მხრივ, სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურებს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილში¹⁵² მითითებული იყო, რომ სქესის შეცვლის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით არ რეგულირდება. ზოგადად ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა ხორციელდება მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით, პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად, აღიარებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მიხედვით, საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. სამინისტროს განმარტებით¹⁵³, სქესის შეცვლის ცნობის შევსებაზე და გაცემაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის, ის სამედიცინო დაწესებულებები, სადაც ხორციელდება სქესის შეცვლის/კვლავმინიჭების პროცედურებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება/ჩარევა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხებიდან ნათელია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონული მკურნალობისა და წინასწარი ქირურგიული პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. მხოლოდ სქესის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში პირს

148 Eliminating forced, coercive and otherwise involuntary sterilization. An interagency statement. OHCHR, UN Women, UNAIDS, UNDP, UNFPA, UNICEF and WHO. 2014

149 ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციების მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია და საერთაშორისო ფედერაცია, „გლობალური ორგანოები იძულებითი სტერილიზაციის აღკვეთას მოითხოვენ“ მედიაპუბლიკაცია, 5 სექტემბერი 2011)

150 დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ტრანსგენდერ ადამიანთა იძულებითი სტერილიზაციის თაობაზე შეგიძლიათ იხ. WISG-ის ILGA-Europe-სა და TGEU-ს მიერ ევროპის სოციალური ქარტიისათვის მომზადებულ ერთიან ჩრდილოვან ანგარიშში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ. 2014. //// ბმული

151 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საპასუხო წერილი 2014 წლის 11 მარტის (N01/43812)

152 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი. 2014 წლის 27 მარტის N01/25617

153 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი. 2014 წლის 29 აპრილის N01/35621

გააჩნია უფლება, ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სქესის შესახებ.¹⁵⁴ მეტიც, პირადობის ახალ მოწმობებში მითითებულია სქესი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ტრანსგენდერი პირების მდგომარეობას, განსაკუთრებით, იმ ადამიანებისას, ვინც ტრანზიციის პროცესში იმყოფება (პროცედურას წელიწადნახევრიდან ორ წლამდე დრო სჭირდება. ხშირად, ეს პერიოდი კიდევ უფრო ხანგრძლივდება სერვისებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობის გამო).¹⁵⁵

საქართველოში არსებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გენდერის სამართლებრივი ალიარებისა და სამედიცინო ტრანზიციის პროცესის ერთმანეთზე მიბმას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. ტრანსგენდერობის ფართო სპექტრის იგნორირების გამო (სამედიცინო ჩარევის თვალსაზრისით, პროცესი შეიძლება, მოიცავდეს მხოლოდ მცირე მასშტაბის ჩარევას, თერაპიას, ისევე, როგორც სქესის კვლავმინიჭების ქირურგიულ ოპერაციას) ადამიანებს უწევთ არჩევის გაკეთება არასასურველ და საჭიროებას მოკლებულ სამედიცინო ჩარევებსა და გენდერის სამართლებრივ ალიარებას შორის.

გენდერის სამართლებრივი ალიარების პრაქტიკა, რომელიც იძულებით სტერილიზაციას მოითხოვს, ეწინააღმდეგება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნას (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-2 და 26-ე მუხლი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მე-2 მუხლი).

2014 წელს, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ მოამზადა ჩრდილოვანი ანგარიში ლბტ ადამიანების მდგომარეობის შესახებ CEDAW კომიტეტში წარსადგენად¹⁵⁶. ანგარიში, სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის გენდერის ლეგალური ალიარების პრაქტიკას ქვეყანაში და პრობლემებს, რომელსაც ტრანსგენდერი პირები აწყდებიან ამ პროცედურის გამო.

თავის რეკომენდაციებში, CEDAW კომიტეტი პირდაპირ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, „გააუქმოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული შეზღუდვები“. კერძოდ:

[34]. კომიტეტი შეშფოთებულია:

...ე) ძალადობითა და შევიწროებით, რომელსაც ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალები განიცდიან; ასევე შეზღუდვებით, რომლებსაც აწყდებიან ტრანსგენდერი ადამიანები პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღების დროს.

[35]. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს:

... ე) მიიღოს ზომები ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალების მიერ განცდილ ძალადობასა და შევიწროებასთან დაკავშირებით და ასევე გააუქმოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული შეზღუდვები“. ¹⁵⁷

154 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი. N. 26948, თარიღი: 26.06.2012.

155 2014 წელს ჩატარებული კვლევის მონაწილეთაგან 5-ს აქვს ძველი პირადობის მოწმობა (რომელშიც არ არის დაფიქსირებული პიროვნების სქესი), 8-ს აქვს ID ბარათი, ხოლო ერთს არ აქვს პირადობის მოწმობა და აქვს მხოლოდ პასპორტი. რესპონდენტებიდან სახელი პირადობის მოწმობაში შეცვლილი აქვს მხოლოდ სამს. ნ. გვიანიშვილი. „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“. WISG. თბილისი. 2014.

156 Natsvlshvili A., Aghdgomelashvili E., Rights of LBT Women in Georgia. Shadow Report for CEDAW. Submitted for the 58th Session.. Women's Initiatives Supporting Group (WISG). 2014.

157 CEDAW/C/GEO/CO/4-5. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia. Adopted by the Committee at its fifty-eighth session (30 June – 18 July 2014).

2015 წლის 18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე მიმართა წინადადებით საქართველოს იუსტიციის მინისტრს, შემუშავდეს და დამტკიცდეს სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესი, რაც შესაძლებლობას მისცემს ტრანსგენდერ ადამიანებს, ოფიციალურ დოკუმენტაციაში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი, ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ.

რეკომენდაცია:

- ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტრომ უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შესაძლებელი გახდეს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვა ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების გზით, რომელიც მაქსიმალურად იქნება გამიჯნული სამედიცინო ტრანზიციის პროცესისაგან;

IX. დასკვნა

ძირითადი მიზნები

წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია ჰომოფობიური/ტრანსფობიური დანაშაული და სექსუალური ორიენტაციის/ გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია. ამის დასტურია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და დოკუმენტირებული საქმეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები.

საქართველოს კანონმდებლობაში რამდენიმე პოზიტიური ცვლილების განხორციელების მიუხედავად, კვლავაც რჩება ხარვეზები, რომლებიც ლგბტ ადამიანებთან მიმართებაში დისკრიმინაციულია. ხშირად კანონი შესაძლოა, არ იყოს დისკრიმინაციული, თუმცა ლგბტ ადამიანების თავისუფლებები და უფლებები მისი არასწორი აღსრულებისას იზღუდება.

ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის, ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებული საქმეები, ჩატარებული კვლევები და ოფიციალური სტატისტიკის არარსებობა დასტურია იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში არ გამოიყენება.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პოლიციელები ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულზე რეაგირებისას ავლენენ არასათანადო და/ან ჰომოფობიურ დამოკიდებულებას. შესაბამისად, პოლიციელთა არადისკრიმინაციული ქცევის უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო მკაცრი კონტროლის მექანიზმების შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხს.

აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იქნას პოლიციელებისა და მოსამართლეთათვის გათვალისწინებულ სასწავლო პროგრამებში სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა, რათა შეძლონ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულებათა იდენტიფიკაცია, ასევე დაზარალებულებისა და მოწმეებისათვის ადეკვატური დახმარების განწევა.

საქართველოში არ არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც კონკრეტულად სიძულვილის საფუძველზე ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მიიღებდა განცხადებებს და გამოიძიებდა მათ.

ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური გარემოს და პოლიციელთა მიმართ ნდობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭრი ჯგუფი“ საჭიროდ მიიჩნევს, შსს-ს სისტემაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალური განყოფილების შექმნას.

მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო აღმოჩნდა არაეფექტიანი, შეესრულებინა პოზიტიური ვალდებულება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საჭიროა, მოხდეს პოლიციელთა სათანადო გადამზადება ლგბტ ადამიანთა მშვიდობიანი დემონსტრაციის

მონაწილეების დასაცავად, დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების ეფექტიანად აღსაკვეთად. ასევე, აუცილებელია, რომ პოლიციას ჰქონდეს უნარი, უზრუნველყოს ეფექტიანი და დროული რეაგირება დემონსტრანტების მიმართ ძალადობის ფაქტებზე. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯაროდ უნდა დაგმონ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების არაკანონიერი ჩარევის შემთხვევები, რათა არ მოხდეს ძალადობის ფაქტების ნახალისება.

დასაქმების სფეროში დისკრიმინაცია კვლავ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე, ამ ტიპის დისკრიმინაცია აკრძალულია, შრომითი დავები აღნიშნული საფუძვლით არ მიმდინარეობს. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შედეგად ირკვევა, რომ სასამართლოებს დისკრიმინაციის საფუძველზე შრომითი დავები ან არ განუხილავთ, ან ასეთი სახის სტატისტიკას სასამართლოები არ აწარმოებენ. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის კვლევები და ანგარიშები ადასტურებს, რომ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, როგორც სამსახურის დაწყების ეტაპზე, ისე - მუშაობის დროს. ამიტომ, აუცილებელია შრომითი ურთიერთობების სფეროში ლგბტ პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება.

განათლების სისტემაში დღეს არსებული რეალური მდგომარეობა, როგორც გარემოს, ისე - სწავლების პროცესისა და ცოდნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განსხვავდება საკანონმდებლოსაგან. დღემდე არ ჩატარებულა სასკოლო სახელმძღვანელოების დეტალური ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გვეჩვენა, რამდენად თავისუფალია სასწავლო მასალები ჰომოფობიური სტერეოტიპებისაგან, მოიცავს თუ არა ადეკვატურ ინფორმაციას სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ და ა.შ. სახელმძღვანელოების ნაწილში ჰომოსექუალობა განიხილება, როგორც ქცევითი დარღვევა.

საჭიროა, რომ განათლების სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით კი, ლგბტ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ჩაატაროს სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი იმის დასადგენად, თუ რამდენად ახდენენ ისინი ტოლერანტობის იდეის გავრცელებას და ხომ არ უწყობენ ხელს მოსწავლეებში ჰომოფობიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ბულინგი, შევიწროება და სოციალური გარიყვა, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე, დღემდე ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება განათლების სფეროში. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პედაგოგთა ინფორმირებულობის დონე ლგბტ საკითხებზე უკიდურესად დაბალია.

საჭიროა, რომ ჯანდაცვისა და განათლების სამინისტრომ იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მასტიგმატიზებელ/დისკრიმინაციულ განსაზღვრებებს.

განათლების სამინისტრომ, რელევანტურ სახელმწიფო სააგენტოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, შეიმუშაოს პროგრამები განათლების სისტემაში ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად და სკოლებში ბულინგის დასაძლევად; სასკოლო კურიკულუმში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვის, პედაგოგიური პერსონალისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებისა და ლგბტ მოსწავლეებისათვის შესაფერისი ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფის გზით.

ლგბტ ჯგუფთან ჩატარებული კვლევები და ჩაღრმავებული ინტერვიუები აჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჯგუფის წევრები მაინც აწყდებიან დისკრიმინაციასა და არასათანადო მოპყრობას სამედიცინო პერსონალის მხრიდან. ჯანდაცვის სფეროს ცალკეული წარმომადგენლები და არსებული სახელმძღვანელოები ჰომოსექსუალობას განიხილავენ, როგორც პრობლემას, რომელიც სამედიცინო ჩარევას საჭიროებს.

პრობლემის დასაძლევად აუცილებელია, რომ გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მასტიგმატიზებელ/დისკრიმინაციულ განსაზღვრებებს. გარდა ამისა, საჭიროა დაინერგოს ისეთი პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც გაიზრდება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის ინფორმირებულობა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ. ტრანსგენდერ პირებს ეფექტიანად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე და ამის ხარჯებს უნდა ფარავდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

ამასთან, გენდერის სამართლებრივი აღიარების პრაქტიკა, რომელიც იძულებით სტერილიზაციას მოითხოვს, ეწინააღმდეგება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნას.

გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სამედიცინო ტრანზიციის პროცესის ერთმანეთზე მიბმა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით.

ტრანსგენდერობის ფართო სპექტრის იგნორირების გამო ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება არასასურველ და საჭიროებას მოკლებულ სამედიცინო ჩარევებსა და გენდერის სამართლებრივ აღიარებას შორის.

ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტრომ უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შესაძლებელი გახდეს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვა ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების გზით, რომელიც მაქსიმალურად იქნება გამიჯნული სამედიცინო ტრანზიციის პროცესისაგან.

ამრიგად, სახელმწიფოს წინაშე დგას არაერთი გამოწვევა, რომელიც ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას უკავშირდება. ამასთან, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ლგბტ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია და მასზე სათანადო რეაგირება წარმოადგენს. გარდა ამისა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა თანასწორობის საფუძველზე, დისკრიმინაცია დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის სფეროში კვლავ პრობლემად რჩება, რომელთა აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციები წარმოდგენილია კვლევაში. გარდა ამისა, გენდერის სამართლებრივი აღიარება არის იმდენად პრინციპული საკითხი, რომლის სათანადო რეგულირების შემოღება წინგადადგმული და პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში.

დანართები

წერილები

2014 წლის 9 სექტემბერს, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ შეკითხვით მიმართა სასამართლოებს 2012-14 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის, საქართველოს 142-ე მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სასამართლო	WISG-ის მიმართვის რეგისტრაციის #	პასუხის მიღების თარიღი	პასუხის #	კომენტარი
საქართველოს უზენაესი სასამართლო	8182; 3212	17.09.2014	84-კ	სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევაზე სტატისტიკის აღრიცხვა არ ხორციელდება.
ამბროლაურის რაიონული სასამართლო	8923; 7877	10.09.2014	162	http://service.court.ge/public/cms/ upload/635110.24.0.20.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
ახალქალაქის რაიონული სასამართლო	564; 2252			პასუხი არ არის
ახალციხის რაიონული სასამართლო	2279; 2135	10.09.2014	174	http://service.court.ge/public/cms/ upload/6080192.168.222.20.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებზე სტატისტიკა არ წარმოებს.
ბათუმის საქალაქო სასამართლო	9728; 2546	11.09.2014	23080/14-483 გ/კ	http://service.court.ge/public/cms/ upload/107510.10.0.119.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებზე სტატისტიკა არ წარმოებს.

ბოლნისის რაიონული სასამართლო	8601	16.09.2014	4099	http://service.court.ge/public/cms/ upload/152010.6.0.106.pdf შრომის კოდექსის მე-3 მუხლით სტატისტიკის აღრიცხვა არ ხდება.
გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე- ტყვარჩელის რაიონული სასამართლო	2425; 9631	10.09.2015	101	http://service.court.ge/public/cms/ upload/600510.12.0.135.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
გორის რაიონული სასამართლო	1149; 3628	12.09.2014 12.09.2014		http://service.court.ge/public/cms/ upload/21110.7.0.149.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/857110.7.0.149.pdf
გურჯაანის რაიონული სასამართლო	3548; 3209			პასუხი არ არის
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	1350; 9428	16.09.2014	9-210	http://service.court.ge/public/cms/ upload/611210.15.0.116.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	2218; 8531	15.09.2014	704	http://service.court.ge/public/cms/ upload/719310.12.0.127.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მუხლებზე მიითითება ზოგადი ხასიათისაა ერთ გადანაცვეტილებაში და არ არის კონკრეტულად მე-3 მუხლის დარღვევაზე.
თბილისის სააპელაციო სასამართლო	3516; 1599	10.09.2014 10.09.2014	106; 107	http://service.court.ge/public/cms/ upload/588110.3.0.86.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/666610.3.0.86.pdf მიითითებულ მუხლებზე სტატისტიკის აღრიცხვა არ ხორციელდება.

თბილისის საქალაქო სასამართლო	5681; 1756	10.09.2014 10.09.2014	1-01260/590139 2-01118/560507	http://service.court.ge/public/cms/ upload/365510.4.1.48.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/922210.4.1.48.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევაზე სტატისტიკის აღრიცხვა არ ხორციელდება.
თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	9853; 3043	12.09.2014 12.09.2014	98/გ 99/გ	http://service.court.ge/public/cms/ upload/477110.13.0.102.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/158310.13.0.102.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
თელავის რაიონული სასამართლო	3296; 3750	10.09.2014	300	http://service.court.ge/public/cms/ upload/1419192.168.222.20.jpg სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევაზე სტატისტიკის აღრიცხვა არ ხორციელდება.
მცხეთის რაიონული სასამართლო	4701; 3740			პასუხი არ არის
ოზურგეთის რაიონული სასამართლო	3764; 1743	15.09.2014 15.09.2014	584 585	http://service.court.ge/public/cms/ upload/400510.21.0.108.jpg http://service.court.ge/public/cms/ upload/658610.21.0.108.jpg სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
რუსთავის საქალაქო სასამართლო	7077; 1541	10.09.2014 10.09.2014	419/გ 420/გ	http://service.court.ge/public/cms/ upload/632410.9.0.140.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/647010.9.0.140.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.

სამტრედიის რაიონული სასამართლო	4249; 6244	11.09.2014	1990	http://service.court.ge/public/cms/ upload/610310.14.0.109.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
საჩხერის რაიონული სასამართლო	3459; 3604	12.09.2014	1967	http://service.court.ge/public/cms/ upload/8348192.168.222.20.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მუხლებზე მიითითება ზოგადი ხასიათისაა ერთ გადაწყვეტილებაში და არ არის კონკრეტულად მე-3 მუხლის დარღვევაზე.
სენაკის რაიონული სასამართლო	8738; 4317	10.09.2014	410	http://service.court.ge/public/cms/ upload/25210.53.0.103.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
სიღნაღს რაიონული სასამართლო	5928; 5117			პასუხი არ არის
ფოთის საქალაქო სასამართლო	6347; 7718	12.09.2014 12.09.2014	2644 2643	http://service.court.ge/public/cms/ upload/866310.11.0.111.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/443010.11.0.111.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	393; 6184	18.09.2014	461-2/10	http://service.court.ge/public/cms/ upload/61110.5.0.182.pdf აღნიშნული მუხლებით სტატისტიკის აღრიცხვა არ წარმოებს.
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	1203; 4127	12.09.2014	7571	http://service.court.ge/public/cms/ upload/975510.22.0.130.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით. შრომის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებზე სტატისტიკა არ წარმოებს.
ცაგერის რაიონული სასამართლო	3485; 4880			პასუხი არ არის

ხაშურის რაიონული სასამართლო	5622; 9230	09.09.2014	2064-2702	http://service.court.ge/public/cms/ upload/28510.18.0.119.pdf http://service.court.ge/public/cms/ upload/616510.18.0.119.pdf სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
		10.09.2014	2706-2082	
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	6237; 5641	10.09.2014	2682	სასამართლოს არცერთი საქმე არ განუხილია აღნიშნული მუხლებით.
		10.09.2014	2681	
		18.09.2014	2725	

სსპდასსვა სახელმწიფო უწყებებში გაგზავნილი წერილები

სახელმწიფო უწყება	WISG-ის მიმართვის შინაარსი	WISG-ის წერილის # და გაგზავნის თარიღი	რეგისტრაციის #	პასუხის # და თარიღი	კომენტარი
საქართველოს მთავარი პროკურატურა	არის თუ არა ინსტრუქცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე	W5 9/2/21 09.02.2015	01/13-11986	13/11010 24.02.2015	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ინსტრუქცია, რეკომენდაცია ან ბრძანება არ არის შემუშავებული
	რა სახის სწავლებას ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის გამოძიებაზე პროკურატურის თანამშრომელთათვის.	W3 9/2/21 09.02.2015	01/13-12002	13/11024 24.02.2015	ტრენინგი გაირა 80 თანამშრომლებმა. სიძულვილით მოტი- ვირებულ დანაშაულ- თან დაკავშირებული საკითხები შედის ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულე- ბით მომზადებულ სასწავლო მოდულში.
	რამდენ საქმეზე დადგინდა სისხლის სამართლის კოდექსის 53 ¹ მუხლით დადგენილი დამამძიმებელი გარემოება.	W4 9/2/21 09.02.2015	01/13-11997	13/11028 24.02.2015	მსგავსი სახის სტატისტიკა არ წარმოებს.
	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142- ე და 53 ¹ მუხლით რამდენ საქმეზე დაინყო სისხლის სამართლებრივი დევნა.	W 02/09/2014 11.09.2014	01/13-83540	13/59480 24.09.2014	დევნის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	პროკურატურის თანამშრომლებისათვის სასწავლო პროგრამა რა სახის სწავლებას ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის გამოძიებაზე.	W2 9/2/21 17.02.2015	731	14/428 23.02.2015	კონკრეტულ თემაზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე საგანმანათლებლო კურსი არ ჩატარებულა.

საქართველოს შსს აკადემია	რა პერიოდებიდან ისწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების საკითხები	W1 9/2/21 10.02.2015		MIA 0 15 00307658 11.02.2015 MIA 8 15 00372753 19.02.2015	სასწავლო კურსში „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში“ გათვალისწინებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	ლგბტ ადამიანების უფლებათა დარღვევის ფაქტები	W1 T 20/11/2014 22.01.2015	752/15	08-2/723 27.01.2015	2013 წელს შემოსული საქმეებიდან 30 საქმე ეხებოდა 17 მაისის მოვლენებს, 4 - თავშესაფრით უზრუნველყოფას, 3 - ინფორმაციის გამოთხოვას, 2 - ძალადობას.
	ლგბტ ადამიანების უფლებათა დარღვევის ფაქტები	21.11.2014	18710/1	08-1/14501 18.12.2014	2013 წელს შემოსული საქმეებიდან 30 საქმე ეხებოდა 17 მაისის მოვლენებს, 4 - თავშესაფრით უზრუნველყოფას, 3 - ინფორმაციის გამოთხოვას, 2 - ძალადობას. 2014 წელის შემოსულია 24 განცხადება. 7 - ეხებოდა ძალადობას, 1 - მკვლელობას, 10 - პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას, 1 - ჯანდაცვის საკითხს, 5- სხვა საკითხებს.
სამედიცინო მედიაციის სამსახური	სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო უფლების დარღვევის ფაქტები	W3T 21/11/2014 21.11.2014	030151599176611	10/95395 27.11.2015	სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო რაიმე სახის დარღვევაზე არცერთ პირს არ მოუმართავს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო უფლების დარღვევის ფაქტები	W2T 21/11/2014 20.11.2014		271/01 20.11.2014	სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით მონაცემების საგარაუდოდ უკანონოდ დამუშავებაზე მოგვმართა ერთმა პირმა, რაც მოკვლევით არ დადასტურდა.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	რამდენ საქმეზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე და 53 ¹ მუხლით.	W 03/09/2014 11.09.2014	1789217	2293989 13.11.2014	ასეთი ინფორმაცია საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს არ გააჩნია.

საპასუხო წერილები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა

N13/11028
24/თებერვალი/2015

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2015 წლის 09 თებერვლის N W4 9/2/15 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში დასმულ საკითხებზე სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას არ ვაწარმოებთ.

პატივისცემით,
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩილინგარაშვილი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა**

N13/11010
24/თებერვალი/2015წ.

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2015 წლის 09 თებერვლის N W5 9/2/15 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ რამე სახის ბრძანება ან/და რეკომენდაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურას არ შეუმუშავებია.

პატივისცემით,
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩილინგარაშვილი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა**

N13/59480
24/სექტემბერი/2014 წ.

ქალბატონო ეკა,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2014 წლის 11 სექტემბრის N02/09/14 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: 2012 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება მითითებული მუხლით გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, მის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

განცხადებაში დასმულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

პატივისცემით,
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩილინგარაშვილი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

N14/428

23/თებერვალი/2015

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2015 წლის 09 თებერვლის N W2 9/2/15 წერილის (სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში“ რეგისტრაციის N731, 17/02/2015) პასუხად გაცნობებთ, რომ კონკრეტულად თემაზე „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ საგანმანათლებლო პროგრამა/კურსი საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა გადამამზადებლად სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში“ არ ჩატარებულა.

თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ 2010-2013 წლების განმავლობაში კომპლექსური პროგრამით გადამზადდა 604 მსმენელი (450 პროკურორი, 80 პროკურორის სტაჟიორი, 74 სტუდენტი) და პროგრამა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, ძალადობა და უმცირესობების უფლებები.

პატივისცემით,
იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
ნუგზარ კაკულია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა**

N13/73121
24/ ნოემბერი / 2014 წ.

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2014 წლის 14 ნოემბერს შემოსული „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ პროგრამების დირექტორის, ნათია გვიანიშვილის, მიმართვა, ბექა ბერიანის განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

დანართი 05 ფურცლად

პატივისცემით,
შინაგან საქმეთა სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
გოჩა ფარულავა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა

N13/11024,
24/თებერვალი/2015 წ.

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს მთავარმა პროკურატურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 09 თებერვლის N W3 9/2/15 განაცხადება, რომლის პასუხად გიგზავნით ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით შემუშავებულ მოდულს და გაცნობებთ შემდეგს:

პროკურორთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული სასწავლო პროგრამები 2014 წელს მოიცავდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც შესულია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მომზადებულ სასწავლო მოდულში, აღნიშნულ თემებზე სწავლება სულ პროკურატურის 80 მუშაკმა გაიარა. მოცემული მომენტისათვის ტრენინგის მონაწილეები პროკურატურის სისტემის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოებში საქმიანობენ.

დანართი: 03 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩილინგარაშვილი

N13/11024 (დანართი)

მოდულის დასახელება	ადამიანის უფლებები
მოდულის ხანგრძლივობა	10 საათი
მიზანი	სასწავლო მოდულის მიზანია, მოქმედ და დამწყებ პროკურორებს გააცნოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისა და წინააღმდეგ მიმართული ძირითადი დანაშაულების გამოძიების თავისებურებები. ასევე, სამართლის ის საერთაშორისო და შიდა ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებს.
სწავლების მეთოდი	ინტერაქტიული ლექციები პრაქტიკული მაგალითების განხილვა დისკუსიები
სასწავლო თემატიკა	

<p>1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა საქართველოში და პროკურატურის როლი:</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო მექანიზმების მიმოხილვა • წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის გაცნობა • წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება ეროვნული ნორმატიული ბაზის მიხედვით • წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების თავისებურებანი და გასათვალისწინებელი გარემოებანი • წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის უფლებები და მათი ჩართულობა გამოძიების მიმდინარეობისას
<p>2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არსი • საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 პრიმა მუხლის გამოყენება
<p>3. რელიგიური დანაშაული:</p> <ul style="list-style-type: none"> • რელიგიური უმცირესობების მიმართ ჩადენილი ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაცია (სსკ 155-156 მუხლების მიმოხილვა) • რელიგიური უმცირესობების მიმართ ჩადენილი ფაქტების გამოძიების ტექნიკა
<p>4. ოჯახური დანაშაულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სსკ 11 პრიმა მუხლის მიმოხილვა • საქართველოს სსკ 126 პრიმა მუხლის ანალიზი • ოჯახური დანაშაულების გამოძიების ტექნიკა და პროცესუალური საკითხები
<p>5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან ურთიერთობა</p>
<p>6. ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება</p>
<p>7. კონვენციის მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება</p> <ul style="list-style-type: none"> • სიცოცხლის უფლების დაცვის ნეგატიური ვალდებულება - ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა • ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნები ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე • გამოძიების ტექნიკა პროკურორის მიერ გასათვალისწინებელი გარემოებები • შესაბამისი მაგალითის განხილვა • კონვენციის მე-2 მუხლი და სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა ჯანმრთელობის დაცვა • შესაბამისი მაგალითის განხილვა - ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება
<p>8. კონვენციის მე-3 მუხლი: წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა ან დასჯა</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროპული კონვენციის მე-3 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიმოხილვა; • კვალიფიკაციის პრობლემა - წამება/არაადამიანური/ღირსების შემლახავი მოპყრობა • ეფექტიანი გამოძიების პრობლემა, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა • პატიმართა ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმართა გათავისუფლება - ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები • ექსტრადიცია და კონვენციის მე-3 მუხლი
<p>9. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან დაკავშირებულ საქმეებზე პროკურატურის საგამოძიებო იურისდიქცია</p>

<p>10. კონვენციის მე-5 მუხლი - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება</p> <ul style="list-style-type: none"> • თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები • თავისუფლების აღკვეთის პროცედურული გარანტიები • წინასწარი პატიმრობა - ევროპული სასამართლოსა და სსსკ-ით დადგენილი მოთხოვნები; • პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა - შესაბამისი მაგალითის განხილვა
<p>11. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის სტანდარტები</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს, სასამართლოს განხილვის დროს გასათვალისწინებელი გარემოებებში (ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე გამოტანილი რეგულაციური გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკაში გამოკვეთილი სხვა პრობლემების მიმოხილვას.
<p>12. კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, პროკურორის მიერ გასათვალისწინებელი საკითხები:</p> <p>ა) ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა;</p> <p>ბ) სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოები;</p> <p>გ) საცხოვრებლის ჩხრეკა, მიმოწერის შემოწმება, სატელეფონო მოსმენა.</p> <p>კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხსენებული მუხლებიდან მომდინარე პროკურატურის პოზიტიური ვალდებულებების მიმოხილვა • კვალიფიკაციის და ეფექტიანი გამოძიების პრობლემები და გასათვალისწინებელი გარემოებები • შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

N2293989

13/11/14

ქალბატონო ეკა,

თქვენი N1789217 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტში 2012 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

ამასთან, ამავე პერიოდში დაწყებული გამოძიების ან/და სასამართლოში წარმართულ სისხლის სამართლის საქმეებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილზე მითითებასთან დაკავშირებით საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ინფორმაცია არ გააჩნია.

პატივისცემით,
შსს ადმინისტრაციის
უფროსის მოადგილე
გიორგი სახოკია

სსიპ საქართველოს შსს აკადემია

MIA 8 15 00372753

19/02/2015

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი მიმდინარე წლის 9 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით) გაცნობებთ, რომ შსს აკადემიის განხორციელებად პროგრამებში კერძოდ „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის“ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნული საკითხები 2012 წლიდან ისწავლება შემდეგ სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: პატრულ-ინსპექტორთა მომზადების, უბნის ინსპექტორთა მომზადების, დეტექტივ-გამომძიებლის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დანინაურების სპეციალური გადამზადების პროგრამებში/კურსში.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების პარალელურად ხდებოდა სასწავლო პროგრამების განახლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დანართის სახით გიგზავნით სტატისტიკურ ინფორმაციას 2012 წლიდან დღემდე მომზადებულ/გადამზადებულ თანამშრომლებთან დაკავშირებით და დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ნაწილს, სადაც სასწავლო კურსად გათვალისწინებულია „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“ (იგივე საკითხები ისწავლება ყველა ზემოთხსენებულ პროგრამებშიც).

დანართი: პროგრამა, სტატისტიკა 19 ფურცლად.

პატივისცემით,

სსიპ-საქართველოს შსს აკადემია/ადმინისტრაცია

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე/

სამმართველოს უფროსის მოადგილე/

ვაჟა კეკელია

MIA 8 15 00372753 (დანართი)

დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამა

N	სახელწოდება	ხანგრძ. (სთ)	შეფასება
	სასწავლო კურსი 2	40სთ	5სთ
1.	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	40	შუალედური გამოცდა/დასკვნით გამოცდა

საგანი: ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (40სთ)	კოდი:6
კურსზე დაშვების პირობა	დეტექტივ-გამომძიებელთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები; ადამიანთა უფლებები
მიზანი	<p>მსმენელმა შეასწავლოს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თეორია და პრაქტიკა. ასევე გააცნოს დანაშაულის კვალიფიკაციის დროს მოსალოდნელი სირთულეების გადაჭრის მეთოდები, კერძოდ, მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე დაეუფლოს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესში პრობლემის დასმისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარს.</p> <p>მსმენელს ჩამოუყალიბოს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თეორიული ცოდნის მყარი სამართლებრივი საფუძველი. კურსანტმა შეძლოს ამ დანაშაულებრივი ქმედებისთვის ზუსტი კვალიფიკაციის მიცემა, რათა სამართალწარმოების პროცესში შეცდომები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.</p>
სწავლის და სწავლების მეთოდები	<p>ინტერაქტიული ლექციები</p> <p>ვიზუალური ლექციები</p> <p>დისკუსიები</p>

ლიტერატურა	<p>დასახელება ავტორი გამოცემის ადგილი წელი</p> <p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, ოთარ გამყრელიძე, თბ., 2005 წ.</p> <p>დანაშაულის მოძღვრება, მერაბ ტურავა, თბ, 2011 წ.</p> <p>სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I-II), სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2011-2012 წ.</p> <p>სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2004 წელი.</p> <p>სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2002 წ;</p> <p>სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008 წ.</p> <p>სისხლის სამართლის პრობლემები. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. 1 ტომი, თბ., 2007 წ.</p> <p>სისხლის სამართლის პრობლემები. თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2 ტომი, თბ.ი, 2007 წ.</p> <p>სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისთვის, რ. კვარაცხელია, თბ. 2010წ.</p> <p>განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია, რ კვარაცხელია, თბ. 2008 წ.</p>
ნორმატ. აქტები	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999 წელი

კურსის შინაარსი

კოდი /N6	ლექციის თემა	ქეისი	პრაქტიკული	სწავლების შედეგები
6/1	სისხლის სამართლის ცნება, სისტემა და ამოცანები; სისხლის სამართლის კანონის არსი და მნიშვნელობა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება და მნიშვნელობა. ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანთა გამოყენების სპეციფიკა. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები: დროში, სივრცეში, პირთა წრის მიმართ (სსკ-ს 1-6 მუხლები).			<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი პრინციპები, მოქმედების ფარგლები და მათი მნიშვნელობა ქმედების სისხლის სამართლებრივი შეფასებისას <p>ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება და მნიშვნელობა,</p> <ul style="list-style-type: none"> • დანაშაულის ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანთა <p>გამიჯვნა და მათი გამოყენების სპეციფიკა;</p> <p>გაცნობიერებული ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის კანონის არსის, ქმედების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირების მნიშვნელობის და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის კომპლექსური საკითხები. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი პრინციპების, <p>დანაშაულის ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანთა გამოყენებას პრაქტიკაში ნამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად.</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნის შესრულებას ძირითადი პრინციპების განხორციელებით. (სუყველგანობის, მოქალაქეობის, ტერიტორიულობის და სხვა); <p>კანონის მოქმედების ფარგლების განსაზღვრას დასკვნის უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლის სამართლის კანონის მიზნების, პრინციპების და <p>მოქმედების ფარგლების განსაზღვრის დროს სისხლის სამართლის</p> <p>ნორმების გამოყენებისთვის დამახასიათებელი მონაცემების</p> <p>შეგროვების და განმარტების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • კვალიფიკაციისთვის საჭირო მაკვალიფიცირებელ ნიშანთა <p>განმარტების და სიტუაციების ანალიზის საფუძველზე</p> <p>დასაბუთებული აზრის ჩამოყალიბების უნარი;</p>

6/2	<p>სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, (სსკ-ს 7-10 მუხლები).</p> <p>დანაშაული და მათი ნიშნები:</p> <p>ქმედების შემადგენლობა მართლწინააღმდეგობა ბრალი;</p> <p>პასუხისმგებლობა თანამდევით შედეგით კვალიფიცირებული განზარაზი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის</p>		<p>კაზუსის განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/1)</p>	<p>ცოდნა, გაცნობიერება:</p> <p>კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანაშაულის და მისი ელემენტების გამოვლენის და შეფასების სისხლის სამართლებრივი ასპექტები, თანამდევით შედეგით კვალიფიცირებული განზარაზი და ოჯახური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლები; <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანაშაულის და მისი ელემენტების გამოვლენას და შეფასებას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენისას; <p>დასკვნის უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირებისთვის დამახასიათებელი სიტუაციის ანალიზის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
6/3	<p>დანაშაულის კატეგორიები; ერთიანი დანაშაულის სახეები:</p> <p>დენადი დანაშაული განგრძობადი დანაშაული (სსკ-ის 12-14 მუხლები)</p> <p>დანაშაულის სიმრავლე: არაერთგზის დანაშაული</p> <p>დანაშაულთა ერთობლიობა</p> <p>დანაშაულის რეციდივი</p> <p>რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტორი (სსკ-ს 15-17 მუხლები)</p>		<p>კაზუსების განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/2)</p>	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების კატეგორიებად დაყოფას; • დენადი და განგრძობადი დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნას; • არაერთგზისობის, დანაშაულთა ერთობლიობის, დანაშაულის რეციდივისა და ზოგიერთ ორგანიზებულ დანაშაულთა და მათ სუბიექტთა გამიჯვნას; • დენადი და განგრძობადი დანაშაულების, არაერთგზისობის, დანაშაულთა ერთობლიობის და დანაშაული რეციდივის გამსაზღვრელ ნორმათა გამოყენებას დანაშაულის კვალიფიკაციის დროს თითოეულის სპეციფიკის გათვალისწინებით. <p>დასკვნის უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დენადი და განგრძობადი დანაშაულების, არაერთგზისობის, დანაშაულთა ერთობლიობის და დანაშაულის რეციდივის განმსაზღვრელ ნორმათა და დანაშაულის კვალიფიკაციისთვის დამახასიათებელი სიტუაციის ანალიზის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი

6/4	<p>დაუმთავრებელი დანაშაული: (სსკ-ს 18-19 მუხლები)</p> <p>დანაშაულის მომზადება დანაშაულის მცდელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაში;</p> <p>დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღება; „ოქროს ხიდის“ თეორია (სსკ-ის 20-21 მუხლები)</p>	(1)6/1-6/3		<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაუმთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულთა გამოიწვინა დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები; • დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულის ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებათა გამოყენების სპეციფიკა; • დანაშაულთა დისპოზიციის შინაარსი სპეციფიკიდან გამომდინარე დანაშაულის ჩადენის სტადიების გამორიცხვის სამართლებრივი საფუძველი. <p>გაცნობიერებული ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაუმთავრებელი დანაშაულის შეფასებისას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, მისგან გათავისუფლების და შემამსუბუქებელი გარემოებების მნიშვნელობა <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანაშაულის კვალიფიკაციის დროს განსაზღვროს ჩადენის სტადიები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მოახდინოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის დასმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში. <p>დასკვნის უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული შემთხვევის გაანალიზების დროს შეძლებს დაადგინოს დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიები და „ოქროს ხიდის“ თეორიაზე დაყრდნობით იმსჯელოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე
-----	---	------------	--	--

6/5	<p>დანაშაულის ამსრულებლობა (უშუალო ამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი და თანამსრულებელი) (სსკ-ის 22-ე მუხლი) და დანაშაულში თანამონაწილეობა; ორგანიზატორი; ნამქეზებული დამხმარე (სსკ-ს 23-24-ე მუხლები) ჯგუფური დანაშაული (სსკ-ის 27-ე მუხლი)</p>		<p>კაზუსების განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/3- 6/5)</p>	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანაშაულში მონაწილე პირების ქმედებების შეფასებას და მის საფუძველზე მოახდენს ამსრულებლისა და თანამონაწილეების გამიჯვნას და სწორი კვალიფიკაციის მინიჭებას ჩადენილი ქმედებებისათვის. <p>დასკვნის უნარი: კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული შემთხვევის გაანალიზების დროს შეძლებს დაადგინოს თანამონაწილეობის ფორმები, მოახდენს მათ გამიჯვნას და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.
-----	--	--	---	--

6/6	მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი; (სსკ-ს 28-38 მუხლები)	(2)6/4-6/5		<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • მართლწინააღმდეგობის და ბრალის არსი (ნეგატიური გაგება) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების დადგენა; • მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებათა ერთმანეთისგან გამიჯვნა და თითოეული გამომრიცხველი გარემოების მახასიათებელი და ნიშნები. <p>გაცნობიერებული ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციის პროცესში <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენებას მედეების კვალიფიკაციის პროცესში <p>დასკვნის უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნების არსებობის შემთხვევაში მასალების მოძიებისა და მათი დეტალურად გამოკვლევის საფუძველზე დაასაბუთოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობა. <p>ღირებულებები: • კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი, ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენის არსებითი მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში</p>
-----	---	------------	--	--

6/7	<p>სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება:</p> <p>ქმედითი მონაწილის გამო;</p> <p>ვითარების შეცვლის გამო;</p> <p>ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა</p>		<p>კაზუსების განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/6-6/7)</p>	<p>ცოდნა/ გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხანდაზმულობის ვადების, ნასამართლობის გაქარწყლების, ამნისტიის და შეწყალების მნიშვნელობა და მათი შედეგების გამოყენება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენისას. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხანდაზმულობის ვადების, ნასამართლობის გაქარწყლების, ამნისტიის და შეწყალების გამოყენებას ქმედების კვალიფიკაციის პროცესში. <p>ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება ხანდაზმულობის ვადების, ნასამართლობის გაქარწყლების, ამნისტიის და შეწყალების შედეგების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
-----	---	--	--	---

6/8	<p>ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია (სსკ-ს 108. 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები და მეორე ნაწილის „ა“. „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები)</p> <p>განზრახ მკვლელობის ცნება</p> <p>გაზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებაში: მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრაც უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა</p> <p>ხულიგნის ქვენა გრძნობით</p> <p>რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო</p>		<p>კაზუსების განხილვა (6/8)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • განზრახ მკვლელობისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობათა მაკვალიფიცირებული ნიშნები და მათი გამოყენების სპეციფიკა <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • განზრახ მკვლელობის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობათა ნიშნების შეფასებას და ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
-----	---	--	---------------------------------	---

6/9	<p>ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია (სსკ-ს 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი და მესამე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ პუნქტები) განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.</p> <p>ჯგუფურად ორი ან მეტი პირისა განსაკუთრებული სისასტიკით ანგარებით ან შეკვეთით</p> <p>მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით; არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა).</p> <p>მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით</p>	(3)6/6-6/8		<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი და განზრახ მკვლელობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები და მათი გამოყენების სპეციფიკა <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ნიშნების შეფასებას და ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას
-----	---	------------	--	--

6/10	<p>სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია (სსკ-ის 110-116-ე მუხლები)</p> <p>მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით; განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში</p> <p>დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია; აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია</p> <p>დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია; თვითმკვლელობამდე მიყვანა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით</p>		<p>კაზუსების განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/9-6/10)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიცოცხლის მოსპობის პრივილეგირებული შემადგენლობათა ძირითადი და დამატებითი მაკვალიფიცირებული ნიშნები და მათი გამოყენების სპეციფიკა. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიცოცხლის მოსპობის პრივილეგირებული შემადგენლობის ნიშნების შეფასებას და ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას
6/11	<p>ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (სსკ 117-ე, 118-ე, 120-ე, 125-ე, 126-ე, 1262-ე მუხლები და საფრთხის შემქმნელ დელიქტთა (სსკ 127-130-ე მუხლები) კვალიფიკაცია</p>	(4)6/9-6/10	<p>კაზუსების განხილვა, ჯგუფური მუშაობა (6/11)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობის დაზიანების და საფრთხის შემქმნელ დელიქტთა მაკვალიფიცირებული ნიშნები და მათი გამოყენების სპეციფიკა <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობის დაზიანების და საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ნიშნების შეფასებას და ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას

6/12	სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულთა (სსკ 137-141-ე მუხლები) კვალიფიკაცია		კაზუსების განხილვა (6/12)	<p>ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივ დანაშაულთა შემადგენლობის ძირითადი და დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნები და მათი გამოყენების სპეციფიკა <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაუპატიურების და სხვა სქესობრივ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნების შეფასებას და ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
6/13	<p>ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულთა (სსკ 142, 1421, 1422, 143, 1431, 1441, 1442, 1443-ე მუხლები) კვალიფიკაცია</p> <p>ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა; რასობრივი დისკრიმინაცია; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის უფლებების შეზღუდვა; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ტრეფიკინგი; მძევლად ხელში ჩაგდება; წამება; წამების მუქარა; დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა</p>	(5)6/11-6/12		<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის, რასობრივი დისკრიმინაციის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის უფლებების შეზღუდვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ტრეფიკინგის, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის შემადგენლობის ნიშნების შეფასებას და ქმედებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

